

ISSN 1512 - 4649

ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეგულირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1591

2013

№1, 2013 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის,
ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

ბადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა,
აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი,
მენაბრე)

საპანონმდებლო სიასლენი (სამეწარმეო
სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა
პასუხები

ს



**ქურნალი "ახალი ეკონომისტი"
რევიზირდება:**

**The Magazine "Akhali Ekonomisti" (New
Economist) IS REVIEWED:**

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ
გამოცემებში "ქართულ რევიზირებულ
ქურნალში".

In "Georgian Reviewed Magazine" –
P.L.L.E. Institute of Techninform

აღიარებულია რევიზირებულიად:

IS KNOWN AS REVIEW BY:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასტანა, ყაზახეთი).

- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana, Kazakhstan).

ბანიკური პერსონალი:

მარკეტინგი: რუსუდან მაისურაძე
კორექტურა: ხათუნა ბურჯულაძე

TECHNICAL PERSONS:

Marketing: RUSUDAN MAISURADZE
Corrections: KHATUNA BURCHULADZE

მისამართი: 0105, საქართველო, თბილისი
ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: info@economisti.ge; info@loi.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

ADDRESS: 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ეკონომისტი

საქართველო
საზოგადოებრივი

ყოველკვარტალური სამართაშორისო რეჟირირებადი და რეჟირირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1(28), 2013

ლიდი ქარჩაპა - შიავარი რედაქტორი და ხარედაქტორი კოლეჯის თავდაჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წარდგენილი წევრი.

სარედაქციო კოლეჯი:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბასაძე; ანსორ აბრამაძე; იური
ანანიავილი; როსეთა ასათიანი;
თიმიშუაზ ბაბუნაშვილი; ვახანო
ბარათაშვილი; ელგარ ბატიაშვილი;
როსტომ ბერიძე; თამარ ბაზასუფლია;
თინა ბელაშვილი (ახალციხის სახელმწიფო
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი); სიმონ
ბელაშვილი; რევაზ ბეჟალაშვილი (ეკონომიკური
პოლიტიკისა და ეკონომიკური განვითარების ქართულ-
გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); მიხეილ
ბრეგვაძე; შალვა ბრეგვაძე; რევაზ
ბრეგვაძე (კურნალ-ეკონომიკა და ბიზნესის შიავარი
რედაქტორი); ვლადიმერ ბრეგვაძე (მსხვილი,
რუსეთის ფედერაცია); ვოლგანა ვინა (ბერლინი,
გერმანია); შოთა ვიშნაძე; ნუზარ თოღუა;
ბონა თუთაბერიძე; სერგეი იაკუბოვიჩი
(ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ
ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის
ინსტიტუტის დირექტორი, ასურბაიჯანის ბანკების
ასოციაციის პრეზიდენტი); რევაზ კაკულია;
მერაბ კაკულია; ბიკ კვაშილაძე; მურთაზ
კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრავალ
რობოტიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და
მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე;
ირაკლი კოჭუანაძე; პაპა კორძაძე (კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაპა
კოჭუანაძე (საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის წევრი); პერალ კონი
(ბრანდენბურგი, გერმანია); ალექსანდრე კუზნეცი
(საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი); ენვო ლაბოვიაძე; ძაბილ
მანაშვილი (ასურბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური
უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი);
შალვა მახარაძე (კავკასიის უნივერსიტეტის
ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მამუკაიშვილი;
თინა მუხამაშვილი; ნუზარ ნადარბაი
(ყაზახის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ლაშო
ნარმაძე (საქართველოს რეგიონული განვითარებისა

და ინფრასტრუქტურის მინისტრი); თეოდორ ნინიძე;
სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი); იური როზაშვილი (ოდესა,
უკრაინა); ვახტანგ სარდანიანი (საქართველოს
საპატრირატოს წმინდა ანდრია პირველიწოდებულის
სახელმწიფო ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და
ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); თეოდორ
სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე
(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი-
კორესპონდენტი); ალექსანდრე სიჭინავაძე
(კურნალ-ბიზნეს-ინჟინერინგის შიავარი რედაქტორი);
ბელა სვირიძე; დამიტიან ტუთაშვილი
(ყაზახეთის რესპუბლიკის ქსოვიკურ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი); მირონ ტუხაშვილი;
სლავა შატალაძე; რუსუდან შუთათელაძე
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-
ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ლარიონ
ყორღანაშვილი; თეოდორე შენგელია;
ბიორბი შიხაშვილი; ივანე შუღრა; შაია
შულენაშვილი (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლაშო
ჩიქაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, საქართველოს
ეკონომიკური მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი);
ენიკო ჩხელაძე; ავთანდილ ჩუთაშვილი
(ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); აბაკი
ცოცია; ნოდარ ხაშვილი (საქართველოს ფინანსთა
მინისტრი); ელენე ხარბაძე; თეოდორ
ხარბაშვილი; რევაზ ხარბაძე; აბაკი
ხელაძე (ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის დეკანი); მერაბ ხელაძე; დავით
ჯალაღონია (სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი);
ჯამალეტ ჯანაშვილი (შიავარი რედაქტორის
მოადგილე); ენვარ ჯემეძე (კურნალ-
საქართველოს ეკონომიკის შიავარი რედაქტორი);
მიხეილ ჯიშუტი; ნანა ჯღარკაძე.

საქართველოში THE NEW ECONOMIST

2937

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ეურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2013წ.
© გამომცემლობა „ლირი“
№1(28), 2013 წელი, year

შასი 5 ლარი

the new ECONOMIST



QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №1(28), 2013

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial board,
Doctor of Business Administration, Associated Professor,
Academic of the Georgian Academy of Business Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science. Professors:

RAMAZ ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE; TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI (Rector of Akhaltsikhe State University); **SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI** (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); **MICHAEL GOGATISHVILI; REVAZ GOGOKHIA** (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); **VLADIMIR GRIGOLAIA** (Moscow, Russian Federation); **WOLFGANG WENG** (Berlin, Germany); **SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY** (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); **ELDAR ISMAILOV** (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); **REVAZ KAKULIA; MERAB KAKULIA; GIAKVASHILAVA; MURTAZ KVIKVAIA** (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); **VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA** (Rector of Caucasus International University); **PAATA KOGUASHVILI** (member of Georgian Academy of Agriculture); **HARALD KUNZ** (Brandenburg, Germany); **ALEKSANDRE KUCHUKHIDZE** (President of the Georgian Academy of Business Sciences); **ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV** (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); **SHALVA MACHAVARIANI** (Vice-Prasident of Caucasus University in sciens field); **ELGUJA MEQVABISHVILI; TEA MUNJISHVILI; NUGZAR NADARAIA** (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); **DAVID NARMANIA** (Minister of Regional Development and Infrastructure of Georgia); **TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI** (Rector of Tbilisi University); **YURIY ROBUL** (Odesa I.I.Mechnikov

Odessa National University, Ukraine); **VAKHTANG SARTANIA** (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); **ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science); **ALEKSANDRE SICHINAVA** (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); **GELASVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA** (Academician of Aesthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **MIRIAN TUKHASHVILI; SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE** (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); **LARISA KORGANASHVILI; TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI** (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary); **OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA** (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **LALI CHAGELISHVILI** (Head of Department of Degree of Guram Tavartkiladze University); **MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science) **NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI** (Deputy of Rector of Iv. Javakhsishvili Tbilisi State University); **AKAKI TSOMAIA; NODAR KHADURI** (Minister of Finance of Georgia); **ELENE KHARABADZE; ETER KHARASHVILI; REVAZ KHAREBAVA; AKAKI KHELADZE** (Dean of Economics and Business Faculty of I. Javakhsishvili Tbilisi State University); **MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA** (Dean of Economics and Business Faculty of Suxumi State University); **JAMLET JANJGAVA** (Deputy of Editor-in-Chief); **EMZAR JGERENAIA** (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); **MICHAEL JIBUTI, NANA JGARKAVA.**

მთავარი გვერდი

საშობაო ეპისტოლე 5

ეკონომიკური

მეცნიერება

რევაზ გველიანი – ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა შეფასებისა და დღისიერების პრობლემები 11

ვასილ ხიზანიშვილი – გლობალიზაციის ცნების განმარტებისათვის 18

ნინო შარმაშვილი, ირინე მამისურაძე – რისკების მართვა და გადაწყვეტილების მიღების ანალიზი შენეჟმენტსა და სტრატეგიაში 22

პაატა კოლუაშვილი, თამაზ კუნჯულია – იაფი საწვავი გლეხისთვის 27

ელზარ კავთიძე – განაწილებითი სისტემები და მათი შედარებითი დახასიათება 30

რამაზ ბეჟინიანი – კერძო საკუთრება როგორც ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი 35

ანხატ შამუგია – საკადრო პოლიტიკა სოციალდემოკრატიული სისტემის რეფორმირებაში 44

ვასტანტ ჩალაშვიძე – ანტიკორუპციული სტრატეგიებისა და პროგრამების გააუმჯობესება მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაზე 50

TEIMURAZ SHENGELIA – Global Business and priorities of Georgia Economic Development 55

REVAZ LORDKIPANIDZE – We Must Think for New Effective Economic System 63

SLAVA FETELAVA – Ruls of World Trade Organization in the Field of Competition 65

ელზარ ბატიაშვილი – „საერთო ნიადაგის“ თეორია და დღევანდელი საქართველო 70

რევაზ ლორთქიფანიძე - მინიქისები (ბიზნეს-ამოცანები) ბიზნეს-გეგმებისათვის, დოკუმენტითი უკუნი უანმრთელბისათვის, რაციონალური კონკურენციისა და უფექტიანობისათვის 75

ახალი წიგნები

უცხოეთის ეკონომიკური სიახლენი

THE NEW ECONOMIST
ახალი ეკონომიკა

139

MAIN PAGE

CHRISTMAS EPISTLE 8

ECO-DIGEST 9


SCIENCE

Revaz Gvelesiani - Assessment and dosage problems of economic policy	11
Vasil Khizanishvili - For Explanation of the Globalization Notion	18
Nino Paresashvili, Irine Maisuradze - Risks Regulation and Decision Seeking Analysis in Management Statistics	22
Paata Koguashvili, Tamaz Kunchulia - Cheap fuel for farmers	27
Eduard Kavtadze - Distribution systems and there comparable characteristics	30
Ramaz Gerliani - Private Property as a Determinant of Economic Freedom	35
Asmat Shamugia - The staff policy in the reform of general education system	44
Vakhtang Chalapeikrishvili - Effects of Anti-crisis strategies and programs on the world economic order	50
Teimuraz Shengelia - Global Business and priorities of Georgia Economic Development	55
Revaz Lordkopianidze - We Must Think for New Effective Economic System	63
Slava Fetelava - Ruls of World Trade Organization in the Field of Competition	65
Elberd Batiashvili - "The Soil" Theory and Today's Georgia	70
Revaz Lordkopianidze - Mini-Cases	75

NEW BOOK 79

FOREING ECONOMIC NEWS 80

საბჭოთა ეკონომიკის რევიუა



საზოგადოებრივი ეკონომიკა



უფიციური და უნებართვით,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

“ათავწოდების მილოდინი კაცთა მოდგმის ხსნისა დასრულდა. აღსრულდა მრავალ თაობათა ნატურა. - იშვა იესო.

ოცი საუკუნის წინ აღმობრწინებულნი ბუღელმის ვარსკვლავი დღეს კვლავ ამცნობს სამყაროს ერთი მიუწვდომელ საიდუმლოს ღვთის განხორციელებას; სასწაულს, რომელსაც ვერასოდეს წასწვდება ადამიანური გონება. საიცრებას, რომელსაც ვერასოდეს წარმოიდგენდა თუთი ანგელოსთა დღისც.

თითქმის არ არის არც ერთი ქვეყანა, არც ერთი ქრისტიანული ოჯახი, რომ არ ხარობდეს ამ დღის დადგომით, მაგრამ ფაქტია, რომ ბუგელისთვის უცნობია ასეთი განწყობის ნამდვილი მიზეზი და ისიც, თუ რას ავადდებულებს ეს დღე ყოველ ადამიანს.

უმრავლესობა ვერ გვიპასუხებს, მაინც რა მიზეზით მიიღო კაცობრივი ბუნება უფაღმა? რა საჭირო იყო ეს? რა შეიცვალა მისი მოსვლით დღეამწაზებ?

ამის გაება ზოგიერთს არც კი აინტერესებს, მათთვის ისიც საკმარისია, რომ კარგი განწყობისა და მზიარულების რაღაც მიზეზი აქვთ. დავ, იყოს ეს ქრისტეს შობა, - არსობრივ მნიშვნელობას ამას არც ანიჭებენ. მათ კი, რომელნიც ნაკლებად გათვითცნობიერებულნი არიან სარწმუნოებაში, მაგრამ ცოდნის შესენის სურვილი აქვთ, კიდევ ერთხელ შევახსენებ წმინდა წერილს:

აღამი შემოქმედმა სატად და მსგავსად თვისსა შექმნა და სამოთხეში ნეტარი ცხოვრება უბოძა, მაგრამ სამყაროს გვირგვინად და განმგებლად დადგინილი კაცი თავისი ნებით, ამპარტყენებითა და უპასუხისმგებლო ქცევით ღმერთს განუღბა და მაცდურის მონობაში აღმოჩნდა. მასთან ერთად დაეცა მიწიერ სამყაროც, რომელიც მას ექვემდებარებოდა. დვთის მადლით ავხვილი პარმიონია, წმ. მკჷსიმე აღმსარებლის სიტყვებით №1(28), 2013 წელი, year

რომ ვთქვათ, ეშმაკის ტირანით განმსჭვალულმა სიძულვილმა და ურთიერთ დაპირისპირებამ შეცვალა; ეს მდგომარეობა აისახა როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობებში, ისე ცხოველთა, მცენარეთა და საერთოდ, მთელი ბუნების არსებობის წესში: ყველაფერი დაექვემდებარა პრინციპს, - ბრძოლა არსებობისათვის.

ასე რომ, ღმერთსა და ადამიანს შორის გადაულახავი უფსკრული განდგა; ადამმა და ევამ და მათმა შთამომავლებმა დაკარგეს სულსწიფის მადლი, რითაც შემოქმედთან კავშირი ხორციელდებოდა და რაც ღმერთთან მათი მსგავსების განმპირობებელი უმოთერეხი ფაქტორი იყო; ამ მადლს მოკლებულნი, მოაკლდნენ სწორ აღზრუნებასა და ქმედებაზეც. ცოდვას ცოდვა შეხსინეს და საკუთარ თავს მარადიული სიკვდილი განუწყადაეს.

ამ რეალობის შეცვლის შესაძლებლობა კი აღარ არსებობდა, რადგან კაცთა ხსნა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც უცოდველი იყო და ხელუწყობდა სხვათა სიმძიმე უტვირთა. ასეთი კომპლექსიანი არ იშოვებოდა, რადგან პირველქმინილი ცოდვა ყველას მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ამას კიდევ ცალკეული ადამიანის პირადი ცოდვებაც ემატებოდა.

ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედმა და განმსჭვლელმა ცანი მოდრიკნა, ადამიანური ბუნება მიიღო და ჩვენი ხსნისათვის დაკითხის ქალაქში, ბუღელში, იშვა.

აქ, ბაგაში, სიცოცხლე და სიმწრეში დაიბადა ახალი ადამი, - იესო. რათა ამპარტყენებით დაცემული ძველი ადამის ცოდვა გამოუსციდა, მართალთა სულელები ჯოჯოხეთიდან ეხსნა და ღმერთთან კავშირი აღუდგინა. აი, ეს არის ჩვენი დიდი სიხარულის მიზეზი, სათავე ერთი გამოთქმული ბედნიერებისა.

ახალი ეკონომიკა THE NEW ECONOMIST



სხვა რა უნდა შევადართო ამ დღის სიდიადეს?
როგორ ხორციელდება პირველქმინილ პარმონისთან
წყენი დაბრუნება?

პირველ რიგში ქრისტიანული ნათლისღებით.
„ბეჭედად მონიჭებულ არს სულისა მიერ
შვიდისა, ამინ!“ - ამბობს საიდუმლოს
აღსრულებისას მოძებნა და შეადგენს ცხებებს
მორონს მას, ყინვც ინათლება, რითაც ადამიანს
ენიჭება სულეწმინდის მადლი და ეძლევა
განდმრთობისა და ნეტარი მარადიულობის
დამკვიდრების შესაძლებლობა.

ამ მიუწვდომელი წყალობის გამო წმინდა
მაგები, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად,
საუკუნეთა მანძილზე გულწრფელად გაოცებულნი
კითხულობდნენ: „რათ არს კაცო, რამეთუ მოისხენე
მიხი, ანუ მე კაცისაი, რამეთუ მოხედავ მას?“ (ყს.
8:4).

ჩვენი ხსნისათვის მაცხიერის თავგანწირვა,
უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ამ
ეპისტოლეში სწორედ ადინწულად გრძნობასე მინდა
განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება.

ეს თვისება ადამიანში ახაკთან ერთად
ეითარდება; ამასთან, რამდენადაც მაღალ სულიერ
საფეხურზე იმყოფება ესა თუ ის პირიუნება, მით
მეტად არის მასში ეს განცდა.

პავლე მოციქული ამბობს: „როდესაც ვიყავი
ყრმა ვიტყოდი, როგორც ყრმა, ვყოქრობდი, როგორც
ყრმა, გმსჯობდი, როგორც ყრმა; ხოლო როდესაც
დავკაცდი, ზურგი ვაქციე ყოველივე ყრმობის
დროინდელს (1 კორ. 13:11).

ჩვენც გვმართებს ყრმობიდან გამოსვლა ანუ
სულიერი გაზრდა და გაცნობიერება ჩვენი
პასუხისმგებლობისა უპირველეს ყოვლისა
შემომქმედის - უფლის, სამშობლოს და
მოყვანის წინაშე; პასუხისმგებლობისა როგორც
ცოცხლების, ისე გარდაცვლილების მიმართ, რაც
გულისხმობს ჩვენს ვალდებულებებს მშობლებთან,
ოჯახთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან
მიმართებაში. ახვეე სამსახურებრივ
პასუხისმგებლობას.

ჩვენი წინაპრები თავიანთ შევილებს
ბავშვობიდან უღეივებდნენ ამ გრძნობას.
ამიტომაც იყო ჩვენი ერი ძლიერი.
მიუხედავად განუწყვეტელი ომებისა, იგი
იბრძოდა-კიდევ და ამახსთან, დაუღალავად
შრომობდა და ქმნიდა.

რწმენისა და მამულის დასაცავად
საჭიროების შემთხვევაში ქუდზე კაცი
გამოდიოდა. საერთოდ კი ოჯახში, სოფელსა
თუ თემში ყველას თავისი პასუხისმგებლობა
ჰქონდა; მეფე ზრუნავდა მთელს ერზე, თავად-

აზნაურობა პატრონობდა და ხმლით იცავდა
თავის ტერიტორიასე მცხოვრებთ; ეძლეოდა
ანათლებდა და სულეირად ამტკიცებდა
ერსსამწყისეს; გლეხები ქმინდნენ დოვლათს;
ყველანი ერთად კი შეადგინდნენ ჩვენი ქვეყნის
ერთიან, მთლიან ცოცხალ ორგანიზმს, სხადც
თითოეული თავისი შესაძლებლობის ფარგლებში
ემსახურებოდა დემოსს და ქვეყანას. რომელიმე
მათგანის დაძაბუნება იწვევდა ყველას
დასუსტებას, რადგან არცერთი მათგანის ფუნქცია
არ იყო უმნიშვნელი; თუმცა რაც უფრო მაღალი
იყო წოდება და თანამებლობა, მით მეტი
იყო პასუხისმგებლობაც. ეს კი ხშირად
სიცოცხლის გაწირვას მოითხოვდა. ზოგჯერ მეფის
ან სასულიერო პირის თავდადება იყო საკმარისი,
მაგ. წმ. დემეტრე თავდადებული, წმ. ევდემოს
კათოლიკოსი, ზოგჯერ კი მთელი ერის, - მაგ.
100000 მოწამის.

თავისუფლება და პასუხისმგებლობა
ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც
თავის სუფლებას კარგავს, მონურ
მდგომარეობაში ვარდება და
პასუხისმგებლობის განცდაც უწყვეტდება.

გავისხენით, რა მსხდა დამოუკიდებლობის
დაკარგვის შემდეგ საქართველოში; მთელი ეს
პარმონიული სისტემა მოიშალა, მეფის
ხელისუფლება და ეკლესიის დამოუკიდებლობა
გაუქმდა, ძალაუფლება უცხო ძალის ხელში
გადავიდა, რის შედეგადაც თავდასწაურობა
უფულო ბატონად იქცა. ყოველსე ეს კი მთელი
სიმწვავეთ გლეხკაცობასე აიხსა.

ქართველმა კაცმა მისთვის დამახასიათებელი
ცხოვრების წესი პირველყოფილ შეცვალა. საქმეწი
სახრწნავის ადგილი პირადულმა დიკავა.
სამშობლოზე ფიქრის ნაცვლად მისი გონება
მხოლოდ საკუთარ კარ-მიდამოსა და ოჯახსე
ზრუნვამ მოიცილა.

დიდმა ილიამ ეს პრობლემა ცნობილი
ლექსით, - „ბედნიერი ერი“ - ნათლად
დაგვახანახა.

ერის უპასუხისმგებლო მდგომარეობამ
მიეციქვანა იქამდე, რომ 1918 წელს წმინდა ილია
მართლის ეროვნული გზის ნაცვლად ხალხმა
უცხო ქვეყნის ათქისტური პარტია აირჩია. შემდეგ
კი კიდევ უფრო საშწნარო შედეგამც არ დააყოვნა
და მიკულ ხანში ქვეყანა კომუნისტური იმპერიის
ნაწილი გახდა.

უჯლი, მართლაც, საჭრთლანია, მაგრამ, ახვე
დროს მოწყალევე, რომელიც არა ცოდვითა
ჩვენთაებრ მოგვაგებებს, არამედ ჩვენი
გამოსწორებისათვის გვწერტნის იმის

ახალი პერიოდისა THE NEW ECONOMIST

გათვალისწინებით, თუ რამდენის დატყენა შეგვიძლია. ამიტომაც რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, გაცილებით უკეთესად ვართ, ვიდრე ვიმასხურებთ და მრავალგზობრივად ვართ. იმანე ოქროსობის მსგავსად მუდამ მადლობა უნდა ეწირებად ღმერთს ყველაფრისათვის. და თუ გეხურს, მდგომარეობის გამოსწორება, უნდა ვიტვიტოთ იმედი წილი პასუხისმგებლობა და უფლის წყალობა ამით მოვიპოვოთ. ეს არის ყველაზე მთავარი. წვეთი კი ვერაფერს გაეხდებით. მხოლოდ საკუთარ შეხედულებებზე დაყრდნობა დამღუპველი იყო და იქნება ყოველთვის.

სამწუხაროდ, თვითოველ წვენგანს დღესაც გვაკლია პასუხისმგებლობის გრძნობა. წვენ გულგრილ ქრისტიანები ვართ. ნელ-თბილნი, და ამიტომაც დიდ შეცდომებს ვუშვებთ. წვენში მძლავრობს ეგოისტური ზრახვები და „მეს“ პრინციპი, რაც ჭეშმარიტ ღირებულებათა დამანგრეველია.

წვენი სულიერი სისუსტის გამოვლინებაა თუნდაც ის, რომ დღესასწაულებს ფაქტობრივად მიწიერი გრძნობებით ვეგუებებით და რეალური განცდა ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობისა, არა გვაქვს. რომ წვენს გარშემო ვაშინებთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ვიყავრს ან გვქვს, სხვა უბრალო ადამიანები კი უურაღებობის მიდმა გვრჩება. ღვთის წინაშე კი დიდი და მცირე არ არსებობს. რომ ცოცხალად გვაწუხებს და მისი სიმძიმის განცდაც აღარ გვაქვს. რომ თითქმის გაწვეტილი გვაქვს კაშმირ ბუნებასთან, მისდამი მხოლოდ მიომხარებდურ დამოკიდებულებას ვინებთ და წვენი უპასუხისმგებელ ქვევით ვანადგურებთ მის სიკეთით.

წვენი დანაშაულია ისიც, რომ კარგად არ ვიცნობთ წვენს წარსულს, წვენს ისტორიას; არადა მისი ცოდნა გვეხმარება, რომ არ მოუწყდეთ წვენს ფსევბებს, საკუთარი თავი შევიცნოთ და სიცოცხლის ხარისხ ნათლად გავაცნობიეროთ.

არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ დღეს ინფორმაციული ომის ეპოქაა დღეს, კაღმით ანუ სიტყვით ბერძოლის დრო. მასთან შეჭიდება კი გონივრება, მცოდნე და ამასთან, ღვთისმოყვარე ადამიანებმა უნდა იტვიტონ. უნდა შევძლოთ, ყალბი იდეალების ბატონობის წვენს ხანაში გავხედოთ სულიერად უფრო მტკიცენი და ძლიერნი, რათა გავიმარჯვოთ.

განსაკუთრებით მინდა მიემართო ახალგაზრდებს და ეთხოვო: გაუძელით

ინფორმაციულ შემოტევას, რომელიც ნიაღვარივით მოედინება მასმედიდან და ცდილობს, ცრუ ღირებულებების გავლენის ქვეშ მოგაქციოთ, არ გახდეთ თანაზიარნი ფსევბიკულტურისა, რომელიც ამაზინჯებს ფსიქიკას, აუხეშებს გრძნობებს და აცარიელებს შინაგან სამყაროს. შეიყვარეთ წიგნი, ისწავლეთ ღრმა აზროვნება, ისწავლეთ ღმერთის შიში და სიყვარული, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანის ერთ-ერთ მუცისოვნენი გახდეთ.

დრო მცირე გვაქვს და არ უნდა აღმოვინდეთ იმ ხუთი ქალწულის მდგომარეობაში, რომელთა კანდაღვაც უფლის მისვლისას საკმარისი სუთი არ აღმოაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ მორწმუნენი და უფლის მიმდღიერნი, ვერ შევიდნენ ღვთის საუყდარში.

პირობის გაუკლებისაგან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს მხოლოდ ძლიერ პიროვნებებს შეუძლიათ, ასე შთა, რომელიც საკუთარ ნებას ვასწრებულად უპირისპილებს ღვთის ნებას და ამქვეყნიურ სიყვარულთა წინააღმდეგ ბრძოლას არ უშინდებიან.


ყოველი ადამიანი უპირველეს ყოვლისა სწორედ ასეთი პიროვნება უნდა იყოს, - ჭეშმარიტად თავისუფალი და სულიერად ძლიერი, რათა ვერს ხერხებულად ექცეს. ასეთი ადამიანების აღზრდის საქმეში ეკლესიას დიდი როლი აქვს.

საერთოდ, ეკლესია ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას; იგი ის მაცხოვრებელი წაიდა, რომელიც ინარჩუნებს საუკეთესო ტრადიციებს და აქვს რა უცვლელად რეალური და მოძღვრება, ყველა ეპოქაში მოწმიბს ჭეშმარიტების შესახებ.

გავისხენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს მიუახლოვდა ადამიანთა თანასწორობის შესახებ ღირებულებათა იმ სტანდარტებს და ფასეულობებს, რასაც ეკლესია ოცი საუკუნის წინ ქადაგებდა. მონათმფლობელობის და ფეოდალისმის პერიოდში, ძალმომრეობის და დაუნდობლობის ხანაში, ქრისტეს სასარება მოუწოდებდა ხალხს თანასწორობისკენ.

ყოველი ქრისტიანის ცხიერება აბსოლუტურად თავისუფალია და ეკლესიის წევრობაც მხოლოდ მის თავისუფალ ნებასეა დაფუძნებული. თითოეული მრევლის წევრი მხოლოდ საკუთარი სინდისით არის დაკავშირებული მოძღვართან და ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლოც სინაწულისა მხოლოდ მის პირად პასუხისმგებლობასეა

ახალი მკონობა THE NEW ECONOMIST



დამოკიდებული, - ადამიანი დამოუკიდებლად წყვეტს, რას იტყვის აღსარებაში და იმასაც, რამდენად იქნება ეს ნათქვამი სინანულით გაჯერებული.

სრული თავისუფლებით მოქმედი და, ამავე დროს, ჭეშმარიტი სინანულით განმსჭვალული პიროვნება იღებს სულიწმინდის მადლს. რომელიც ცვლის მის სულიერ და ყოფილ საქაროს და მას დეობის სათნო შვილად აქცევს: შემდეგ კი უკვე იგი თვითონ სდება გზის მსვენებელი სხვათათვის; ამაზე წერდა წმინდა სერაფიმე საროველი: მოხევეჲ სულიწმინდის მადლი და შენს გარშემო ათასები ცხონდებიანო.

თითოეული წვენიანი ვადღებულისა, მოიპოვოს სულის სიდრმეში დამალული უფლისგან ბოძებული ეს საჩუქარი, ვადღებულისა, აღდგომის იგი, რათა ღირსეულად აღასრულოს თავისი ვალი ამ წუთისოფელში და შემდეგ წვენს დიდებულ წინაპართა მსგავსად ზეცის მოქალაქეობა მოიპოვოს.

შორეული ქვეყნიებიდან ახლადშობილი იესო ქრისტეს თავიანთსავე მდიან ამოსავლელნი მოგვნი, მიდიან მწვემსნიც დაკახე... გულწრფელობით, ანგულოზთა გალობის მსმენნი. მაშ. წავიდეთ წვენც, რათა ვიხილოთ ბაგასა მწილი იესოს დიდებულება და აღარასოდეს განვშორდეთ, რადგან საუკუნო სილოცხლის სიტყვები მასა აქვს მხოლოდ. (ინ. 6:68).

“ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა!”

ნემო სულიერი შვილები, ნქის ნათლულები, ყოველნი ქართველი, ავხაზნი, ოსნი, ბერძენნი, რუსნი, ასირიენნი, იქსიდნი და ქერთნი, სომეხნი, აზერბაიჯანენნი, უკრაინენნი და უდინნი... ყველას გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალმა მოგანიჭოთ მადლი სულისა წმიდისა, რათა იხაროთ ირსავ სოფელსა შინა, ამინ!

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი,
შობა ქრისტესი,
თბილისი,
2013 წელი

სხალი კკონომისტი THE NEW ECONOMIST

ეკონომიკური

წლიურ ეკონომიკა 6%-ით გაიზარდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბატონ გიორგი კვიციანიშვილის განცხადებით 2013 წელს მშპ-ის ზრდის ტემპი სულ ცოტა 6% იქნება, ხოლო 2014 წლისათვის ეკონომიკის ზრდის მანქანები უკვე ორნიშნა რიცხვით გამოისახება.

საქართველო სსფ-საბან ვალს არ აიღებს

2013 წელს საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან (სსფ) ახალ ვალს აღარ აიღებს. ფინანსთა მინისტრის ბატონ ნოდარ ხადურის განმარტებით, საქართველო, სსფ-ის ფინანსურ მხარდაჭერას ამ ეტაპზე არ საჭიროებს, პირიქით, წლიურს ქვეყანა სავალუტო ფონდისაგან უკვე აღებულ კრედიტების ნაწილს დაფარავს.

მანდარინის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა

მიმდინარე სეზონზე ექსპორტზე 30 ათას ტონამდე ქართული მანდარინი გავიდა, ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბატონმა დავით კირვალიძემ განაცხადა. შარშან ექსპორტირებული იყო სულ 13 ათასი ტონა მანდარინი.

შეღავათიანი აბროკრედიტები

მთავრობაში სრულდება შეღავათიანი აბროკრედიტების შემუშავება. სოფლის მეურნეობის მინისტრის ბატონ დავით კირვალიძის განმარტებით, იქმნება სამი სახის საკრედიტო პროდუქტი. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი მცირე ფერმერებისათვის 5 ათას ლარამდე უზრუნველყოფის გარეშე; საშუალო და დიდი ფერმერების შეღავათიანი კრედიტით უზრუნველყოფა 5-დან 100 ათას ლარამდე წლიური არაუმეტეს 7-8%-ისა; სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტით არაუმეტეს 1 მილიონი ლარისა, საშუალო წლიური 3%. შეღავათიანი

აბროკრედიტის პროექტი 2013 წლის მარტიდან ამოქმედდა.

რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქტების დაბრუნების ვადად სავარაუდოდ გაზაფხული დასახელდა. არსებული ინფორმაციით, ბაზრის გახსნა ჯერ ქართული ღვინისათვის, შემდეგ მინერალური წყლებისათვის და მესამე ეტაპზე კი ქართული ხილ-ბოსტნეულისათვის უნდა მოხდეს. სოფლის მეურნეობის მინისტრი ადგილობრივი ღვინის კომპანიების 50-მდე წარმომადგენელს შეხვდა და როგორც ირეკვა, უმეტესობა რუსეთში ღვინის შეტანას გეგმავს. ამისათვის, პირველ რიგში, კომპანიამ ღვინის ეროვნულ სააგენტოში დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს, რაც პროდუქტის ხარისხიანობასა და ექსპორტის სურვილს დაადასტურებს. განხილვის შემდეგ ღვინის სააგენტო მომაცემებს რუსეთის შიგარ სანიტარულ სამსახურს მიაწვდის. თუ მთავრობაში ქართული პროდუქტის ხარისხის მიმართ პრეტენზია არ ექნებათ, წესით ქართული ღვინოს ექსპორტი აღარ უნდა დაუშალონ.

შრომის კოდექსი იცვლება

შრომის მოქმედ კოდექსს კრიტიკა წლების განმავლობაში არ მოჰკლებია. პროფკავშირებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები დღესაც ამტკიცებენ, რომ ის დასაქმებულთა ექსპლუატაციას უწყობდა ხელს, დამსაქმებლებს კი პრივილეგიულ მდგომარეობაში აყენებდა. ახალი მთავრობის ინიციატივით კოდექსი იცვლება, პროექტი უკვე საყოველთაო განხილვის საგანია. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, არც ერთ დამსაქმებელს არ შეეძლება დასაბუთების გარეშე, ერთი ხელის მოსმით, დასაქმებული სამსახურიდან გაათავისუფლოს.

ახალი ეკონომიკური



ძონების ჩამორთმევაზე სარჩევები \$3 მილიარდზე შევიდა

მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ინფორმაციით, მთავარმა პროკურორმა ბიზნესთან შეხვედრისას ყოფილი ხელისუფლების პირობებში უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების რამდენიმე მექანიზმი წარადგინა, რომელთაგან ერთ-ერთი ითვალისწინებს ამ ქონების აღიარებას სახელმწიფოს შიდა ვადად. დაზარალებულ ბიზნესმენთა ერთი ნაწილი ხელისუფლებას ჩამორთმეული ქონების დაბრუნების სხვა მექანიზმს სთავაზობს. დღეისათვის პროკურატურაში შეტანილი სარჩევები ჯამურად სახელმწიფოსაგან \$3 მილიარდის ქონების ანაზღაურებას ითვალისწინებს.

სამომხმარებლო პროდუქტებში სუპერმარკეტებში

სამომხმარებლო პროდუქტის ბაზრის კვლევა მოეწყო „ილიაუნი ბიზნეს რევიუს“ ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კვლევებისა და კონსულტაციების ცენტრის მკვლევარების ჩართულობით.

კვლევა მოიცავდა 7 სუპერმარკეტს, მისი მიზანი იყო ყველაზე ძვირი და იაფი სუპერმარკეტების გამოვლენა. კვლევა 18-დან 24

ინვერამდე 25 სახის პროდუქტისათვის მოეწყო. შეირჩა პროდუქტის რაოდენობა და დადგინდა ფასები ნაწილობრივ სუპერმარკეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე, ხოლო ნაწილობრივ – ე.წ. მისტიკური კლიენტების ჩართვით.

ყველაზე მეტ პროდუქტზე მაღალი ფასი აღირიცხა „სმარტსა“ და „გუდვილში“ (8 დასახელება). ყველაზე მეტ პროდუქტზე ყველაზე დაბალი ფასი აღინუსხა „ფურშეტსა“ და „კარფურში“. ასორტიმენტის მხრივ, ყველაზე ნაკლები პროდუქტი წარდგენილი ჰქონდათ „იოლსა“ და „პოპულს“.

აბრეგზე ქართული წარწერა სავალდებულო ხდება

სარეკლამო აბრეგზე წარწერები ქართულ ენაზეც უნდა იყოს – „რეკლამის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები პარლამენტში ინიცირებულია. ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის აბრეგზე ქართული წარწერა სავალდებულო ხდება. დამრღვევს პირველად გააფრთხილებენ, განმეორებისას ფიზიკური პირი 200 ლარით დაჯარიმდება, ხოლო იურიდიული პირი – 3 000 ლარით, მესამედ და მეტჯერ დარღვევისას ჯარიმა 5 000 ლარი იქნება.

„ეკო-დაიჯესტი“ ქართულ ეურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა **თამთა შვებლაძემ**

ახალი მკონომისტი THE NEW ECONOMIST



გიორგი გვიშვიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი, სრული პროფესორი

ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა გამოყენებისას, გარდა იმისა, რომ აუცილებელია გარკვეული შეფასებების გაკეთება, დოზირების საზღვრებიც უნდა გაითვალისწინოთ. ასეთი საზღვრები, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკურად არის განპირობებული. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა საშუალების თანაბარი მიზნულობით დოზირება. ამ კონტექსტში მხედველობაში უნდა გვქონდეს თვისობრივ და რაოდენობრივ საშუალებებს შორის განსხვავება. თვისობრივი საშუალებაა შრომის დაცვის კანონი, უკიდურესი ღონისძიებები - კარტელის აკრძალვის, ანდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ კანონი. რაოდენობრივი საშუალებაა საგადასახადო ტარიფი და საპროცენტო განაკვეთი, სახელმწიფო საინვესტიციო ხარჯები ან თანასუქის განადგობისას საპროცენტო გადასახდელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოზირების ის საზღვრები, რომლებიც ნაციონალური კანონმდებლობით ანდა საერთაშორისო ხელშეკრულებებითაა დადგენილი. ისინი როგორც წესი, ზღუდავს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა მოქმედების არეალს.

ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა გამოყენების ასპექტით შეფასების პრობლემა დოზირების პრობლემას უკავშირდება. ამ პრობლემის გათვალისწინება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც: 1) შესაფასებელი საშუალება მაქსიმალურად ზუსტად არის დოზირებული; 2) როგორც მიზანზე ზემოქმედება, ისე თანამხლები ზეგავლენა დოზირების ხარისხთან ერთად იცვლება და შეფასებულია, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი ზემოქმედება; 3) საშუალების გამოყენების ხარჯები ფიქსირებულ ხარჯებზე კი არ დაიყვანება, არამედ ისიც დოზირების ხარისხის მიხედვით ცვლილებას განიცდის და ცნობილია მისი საერთო რაოდენობა.

ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა რაციონალური და ეფექტური გამოყენება მოითხოვს მათ შეფასებებს მიზნის, კონცეფციისა და სისტემის მიმართ კონფორმულობის თვალსაზრისით. ამით დგინდება თუ რამდენად უწყობს ხელს მოცემული საშუალება მიზნის განხორციელებისაკენ სწრაფვას და რამდენად კონფორმულია ის კონცეფციასა და სისტემასთან დამოკიდებულებაში, რაც წინასწარი არჩევანის გაკეთების საშუალებას იძლევა. საშუალებათა საბოლოო შეფასება ეკონომიკური პოლიტიკის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზს საჭიროებს. ამასთან, აუცილებელია საშუალებების გამოყენების, როგორც ძირითადი და თანამხლები, ასევე მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების გათვალისწინება.

გასატარებელ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ღონისძიებათა ზუსტი განსაზღვრისათვის აუცილებელია საშუალებების შეფასება

ეკონომიკური პოლიტიკის მოსალოდნელი სარგებლისა და ხარჯების მიხედვით.

სარგებლის ასპექტით უნდა გაითვალისწინოთ:

- პირდაპირი სარგებელი, როგორც დასახულ მიზანზე საშუალების ზემოქმედების შედეგი და
- არაპირდაპირი სარგებელი, როგორც სხვა მიზნებზე შესაძლო დადებითი თანხმდებელი ზემოქმედების შედეგი. საქმე ეხება იმ მიზნებს, რომლებიც საშუალების გამოყენების პროცესში ურთიერთშემავსებელი დამოკიდებულებების საფუძველზე ვლინდება.

დანახარჯების ასპექტით უნდა გაითვალისწინოთ:

- პირდაპირი დანახარჯები, რომლებსაც ღონისძიება გადაწყვეტილების გამტარებელს ანდა იმ ინდივიდს აკისრებს, რომელსაც იგი ეხება და
- დანახარჯები, როგორც სხვა მიზნებზე ღონისძიების უარყოფითი თანამხლები

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა შეფასებისა და დოზირების პრობლემები

ზემოქმედების შედეგი. საქმე ეხება იმ მიზნებს, რომლებიც კონკურენტული ურთიერთობის საფუძველზე ეალიბდება.

ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით აუცილებელი იქნება ისეთი ღონისძიების იდენტიფიცირება, რომელსაც სხვა ზომებთან შედარებით ყველაზე მეტი საერთო სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ხარჯებისა და სარგებლის ეკონომიკურ-პოლიტიკური ანალიზი შესაძლებელი იქნება თუ გადაჭრილია ორი პრობლემა:

- ძირითადი და თანმხლები ზემოქმედებების შეფასება გულისხმობს მართვის შესაბამის ცოდნას (ცოდნის პრობლემა);
- გადაწყვეტილების მიმღებ ინსტანციას მეთხოვება მოსალოდნელ ზემოქმედებათა შეფასება (შეფასების პრობლემა).

ცოდნის პრობლემის გადაწყვეტამდე აუცილებელია ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პრობლემის ახსნა, რომლის გადაჭრასაც ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი გაგვიადილებს. ასეთი პრობლემები ოპერაციონალიზებას უკავშირდება. მიზნისა და კონტეკტის მიმართ კონფორმული საშუალებების, მათ ზემოქმედებასა და გამოყენებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები მნიშვნელოვანია მას შემდეგ გავაანალიზოთ, რაც დაკონკრეტდება მიზნები. მათ განხილვამდე საჭიროა საშუალებების მართვასთან დაკავშირებული საკითხები ნათელყოთ. ასეთია: შერჩეული საშუალების დოზირების შემოწმება, ასევე იმის შეფასება, თუ რა საფრთხეებს გამოიწვევს დოზირებასთან დაკავშირებული ცდომილება.

დასახულ მიზანთან მიხედვით იმის საშუალებაც მოგვეძიოთ, რომ შევასაოთ სხვა მიზნებს მიხედვით, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზემოქმედება. ამავე დროს შეუძლებელია შეფასებათა მეცნიერული ანალიზი განხორციელდეს. მეცნიერულად შესაძლებელია დასაბუთდეს მხოლოდ მტკიცებები, როგორც დასახული მიზნის რეალიზების, ისე გამოყენებული საშუალების ზემოქმედების თაობაზე. საქმე ეხება იმის შეფასებას, თუ რამდენად ზრდის ან ამცირებს კონკრეტული ღონისძიება დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ცოდნა იმის შესახებ, თუ რა ზემოქმედება შეუძლია მოახდინოს გამოყენებულმა საშუალებამ. გადაწყვეტილების გამტარებელთა შეფასებების, როგორც წესი, პარტიკულია და ინტერესთა ჯგუფების მიმართ პოლიტიკურ

ანტიპატივებსა თუ სიმპატივებში მდგალება ხილმე. საერთაშორისო კვლევის პრაქტიკაში მოდებული პოლიტიკური სექტორის უხეში დაყოფა კონსერვატორებად, ცენტრისტებად და სოციალისტებად. კირშენმა [1, გვ.87-129; 146] სწორედ ასეთი კვლევის საფუძველზე ჩამოაყალიბა შეხედულება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ასპექტით პრეფერენციები ძალზე განსხვავებულად არის განაწილებული. კონსერვატორები მიზანზე პირდაპირი ზემოქმედების ინსტრუმენტებთან შედარებით უპირატესობას ეკრძო სექტორის ეკონომიკაში დაგეგმულ მონაცემთა სხვადასხვა ვარიაციების გამოყენებას ანიჭებენ. ისინი ამჯობინებენ არა მონეტარული, არამედ ფისკალური ღონისძიებების გატარებას. პირდაპირ დაბეგვრასთან შედარებით უპირატესობას არაპირდაპირ დაბეგვრას ანიჭებენ. კონსერვატორები სახელმწიფოს როლის ზრდას მხარს არ უჭერენ. სოციალისტები, პირიქით, სახელმწიფოს ჩარევასა და კონსერვატორულ პოლიტიკაში „დეფიციტური ხარჯვის“ ღონისძიებებს ემხრობიან. ინტერესთა ჯგუფები (დამქირავებლები, პროფესიული კავშირები, სოფლის მეურნეობის მუშაკები), როგორც მოსალოდნელი იყო, იმ პარტიების პოზიციებს იზიარებენ, რომლებთანაც უფრო ახლოს არიან. ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა მიმართ წინაღმდეგობამ შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება გამოიწვიოს. მაგალითად, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები პარლამენტის თანხმობის მოპოვებას ცდილობს. ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება კი, როგორც წესი, ღონისძიებათა ზემოქმედების ფორმაცეც აისახება.

ცოდნასთან და შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები ნათლად გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი საუკეთესო შემთხვევაში არასრული ხასიათის იქნება. ასეთ ანალიზს შემცენებითი და პრაგმატული მნიშვნელობაც აქვს: იგი მეთოდურ დახმარებას გვიწევს მართვასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი სწორად შეფასების საქმეში.

კონკრეტული ღონისძიების შეფასების პირობაა იმის ცოდნა, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს იგი (საშუალება) დოზირებული გამოყენების შემთხვევაში. სწორედ ასეთი ცოდნის საფუძველზე ხდება შესაძლებელი ღონისძიების მიერ გამოწვეული, როგორც ძირითადი და თანმხლები, ისე მოკლევადიან და გრძელვადიან

ახალი პერიოდში THE NEW ECONOMIST

ზემოქმედებათა განსაზღვრა და შეფასება. ხშირად საშუალების გამოყენების დანახარჯებიც მისი გამოყენების დოზირებაზე დამოკიდებული.

საშუალების გამოყენების ეფექტი მიზნებსა და საშუალებებს შორის დამოკიდებულებების ტენციოლოგიას ეხება. ასეთი მიმართებები კი განსაზღვრავს რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების შესაძლებლობათა სფეროს. მათი უგულვებელყოფა ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტით არასასურველ შედეგებს გამოიწვევს. მათი მიზეზი კი ძირითად მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობათა შესახებ შეხედულებული ცოდნის არსებობაა. მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობები ხშირად მხედველობის არედან ქრება და ეს ხდება იმიტომ რომ:

- საშუალებასა და მიზანს შორის „ჩართულია“ მრავალი სხვა პროცესი;

- საშუალების გამოზნულობა იცვლება იმ ზემოქმედებათა საფუძველზე, რომლებიც კერძო ინდივიდთა რეაქციას მოჰყვება ხოლმე, როგორც საშუალების გამოყენების შედეგი;

- გარკვეული დროა საჭირო იმისათვის, რომ მიზანზე კერძო სუბიექტთა რეაქციის ყველა ზემოქმედება დასრულდეს.

ამ სირთულეებს სტაბილიზების პოლიტიკის ასპექტით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კეინსიანური მიდევლი მათი ნათლად განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს. თუ მიზანი არის მილიანი შიდა პროდუქტის გაზრდა და სამთავრობო ხარჯების ზრდის შეფასება, მაშინ გარდა მიზანზე პრედაპირი ზემოქმედებისა, აუცილებელია ფულად და სასაქონლო ბაზარებზე მიმდინარე სხვა (საგარეო ვაჭრობის ჩათვლით) პროცესების გათვალისწინებაც. ამის შედეგია ის, რომ მულტიპლიკატორული ეფექტი სუსტდება. არსებული ფულის მასის პირობებში სირთულეები გულისხმობს სამომხმარებლო ხარჯების ზრდას, რაც, თავის მხრივ, სამთავრობო ხარჯების ზრდის უშუალო შედეგს წარმოადგენს. ხარჯების ზრდასთან დაკავშირებული შემოსავლებზე დამატებითი ზემოქმედება გრძელვადიან პერიოდში სუსტდება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს გაფონვა, რომელიც მიმდინარეობს: დანახარჯის ზრდით, ასევე შემოსავლებთან დაკავშირებული დაბეგერის უარყოფითი ეფექტებითა და იმპორტის ზრდით. ამას, როგორც წესი, ემატება ის ნეგატიური ზემოქმედებაც, რომელსაც საინვესტიციო ხარჯების შემცირება მულტიპლიკატორულ ეფექტებზე ახდენს. პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება, როდესაც ტრანსაქციების ფულზე შემოსავლებით სტიმულირებული მოთხოვნა იზრდება. მაშინაც კი,

როდესაც ეკონომიკა წონასწორულ მდგომარეობაშია და მომხმარებელთა ქცევა (მომხმარებლის ფუნქცია) შეუცვლელ რეაქციებს გულისხმობს, თავს იჩენს მესამე სირთულე. პერიოდული ანალიზი ეკონომიკური პროცესების მხოლოდ ნაწილს მოიცავს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მომდევნო პერიოდებში რეაქციების შეყოვნებაზე ზემოქმედებას ინსტრუმენტების ცვლილებაც ახდენს. ეკონომიკური პოლიტიკის დონისტიკათა დოზირება შეესაძლებება შეესაბამებოდეს მხოლოდ მიმდინარე პერიოდს. ამავე დროს არ არის გამორიცხული, რომ შუალედურ პერიოდში მისი ზედმეტი დოზით გამოყენება მოხდეს.

საშუალების გამოყენებისას, გარდა იმისა, რომ აუცილებელია გარკვეული შეფასებების გაკეთება, დოზირების საზღვრებიც უნდა გაითვალისწინოთ. ასეთი საზღვრები, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკურად არის განპირობებული. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა საშუალების თანაბარი სიზუსტითა დოზირება. ამ კონტექსტში მხედველობაში უნდა გექონდეს თვისობრივ და რაოდენობრივ საშუალებებს შორის განსხვავება. თვისობრივი საშუალებაა შრომის დაცვის კანონი, უკიდურესი ღონისძიების - კარტელის აკრძალვის, ანდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ კანონი. რაოდენობრივი საშუალებაა საგადასახადო ტარიფი და საპროცენტო განაკვეთი, სახელმწიფო საინვესტიციო ხარჯები ან თამასუკის განადგობისას საპროცენტო გადასახდელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოზირების ის საზღვრებიც, რომლებიც ნაციონალური კანონმდებლობით ანდა საერთაშორისო ხელშეკრულებებითა დადგენილი. ისინი როგორც წესი, ზღუდავს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა მოქმედების არეალს. მაგ, განვიხილავთ ქვეყნებში, ცენტრალური ბანკის შესახებ კანონის თანახმად, იგი ვალდებულია არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების დეპოზიტებზე სარგებერვო ტარიფები მაქსიმალური სიდიდის გათვალისწინებით დააწესოს. ასევე შეიძლება, განმარტოთ საოჯახო მურწუნების შესახებ კანონი, რომელიც ზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის შესაძლებლობებს. იმის მაგალითად, თუ როგორ იზღუდება ინსტრუმენტების დოზირება საერთაშორისო დონეზე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) გამოდგება, რომელიც შეზღუდვებს უწევს წევრ სახელმწიფოებს საგარეო ვაჭრობის სფეროში. ხისტებისადმი

კონფორმულობის მაგალითად შეიძლება დავასახლოთ საშუალებათა დოზირების ის წესები, რომლებიც კონსტიტუციით არის გარანტირებული. ასეთი საკონსტიტუციო გარანტიები საკუთრებას განაწილებს. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კერძო საკუთრების საჯარო საკუთრებაში გადასვლა ისლულდება. ეს ვითარება შესაბამეა სამართლის შესახებ გაბატონებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც საკუთრების სოციალიზაცია დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (თუმცა მაინც დასაშვებია).

ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა გამოყენების ასპექტით შეფასების პრობლემა ინდივიდების პრობლემას უკავშირდება. ამ პრობლემის გათვალისწინება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც: 1) შესავსებელი საშუალება მაქსიმალურად ზუსტად არის დოზირებული; 2) როგორც მიზანზე ზემოქმედება, ისე თანხმდები ზეგავლენა დოზირების ხარისხთან ერთად იცვლება და შესახებულია, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი ზემოქმედება; 3) საშუალების გამოყენების ხარჯები ფიქსირებულ ხარჯებზე კი არ დაიყვანება, არამედ ისიც დოზირების ხარისხის მიხედვით ცვლილებას განიცდის და ცნობილია მისი საერთო რაოდენობა [2, გვ.728]. ამ უკიდურესად გამარტივებული წანამდებრივიდან გამომდინარე შესაძლებელია ერთმანეთისგან განავსებავით დოზირების შემდეგ ხარისხები:

- საშუალება ოპტიმალურად არის დოზირებული, როდესაც მისი სხვაგვარად დოზირების შესაძლებლობა უფრო დიდ საერთო სარგებელს არ მოიტანდა;

- საშუალების დოზირების ხარისხი აბსოლუტურად არასაკმარისად, როდესაც მისი გამოყენების დანახარჯები მიღებულ სარგებელს აღემატება. საერთოდ სარგებელი გაიზარდება თუკი საშუალების დოზას საგრძნობლად გაეზრდით;

- შედარებით არასაკმარისად ანდა საკმაოდ მეტად დოზირებულია საშუალება, როდესაც მათათაა მისი გამოყენების საერთო სარგებელი აღემატება საერთო დანახარჯებს, მაგრამ უფრო მეტი ან ნაკლები დოზირება გაცილებით მეტი სარგებლის მომტანი იქნებოდა;

- საშუალება აბსოლუტურად ზედმეტად დოზირებულია, როდესაც საერთო დანახარჯები აღემატება საერთო სარგებელს და დადებითი სარგებლიანობა მოსალოდნელია მხოლოდ მისი უფრო მცირე დოზის შემთხვევაში.

როგორც ჩანს, შეუძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკის საშუალების დოზირების ხარისხი. არაზუსტი დოზირება თავიდან, რომ ავიცილოთ და ოპტიმალური დოზირება განვსაზღვროთ, საჭიროა კატეგორიული ორიენტაციების გამოყენება.

საშუალების აბსოლუტურად არასაკმარის დოზირებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც იგი მიზანზე ზემოქმედებას ვერ ახდენს და მის გამოყენებაზე სახსრები ყოველგვარი უკუგების გარეშე იხარჯება. მინიმალური დოზირება მაშინ არის აუცილებელი, როდესაც უნდა ავცდეთ ინდივიდების რეაქციას (ზღურბლს), რომელსაც ეს ღონისძიება ეხება. ასეთი ზღურბლის არსებობა გეფიქრებინებს, რომ ძალზე დიდი იქნება ის დანახარჯები, რომლებიც კერძო სუბიექტთა ეკონომიკური მისწრაფებების შეცვლასთან არის დაკავშირებული. უფრო რომ დავაზუსტოთ, ეს ეკონომიკურ-პოლიტიკურად დაგეგმილი მონაცემების ცვლილებაზე სუბიექტთა რეაქციების გადალახვას გულისხმობს. ასეთი დანახარჯები კი იზომება მიღწეული შედეგების ანდა იმ დანახარჯების მიხედვით, რომელთა თავიდან აცილება შეიძლებოდა. ასეთი ზღურბლი შესაძლებელია წარმოიშვას, როგორც შედეგი იმ სხვაობისა, რაც რეაქციის მოსალოდნელ სარგებელსა და სუბსიდირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის არსებობს. ასევე შესაძლებელია გარკვეული სხვაობა არსებობდეს საგადასახადო განაკვეთებსა და საპროცენტო განაკვეთების ვარიაციებში. ამის მაგალითია ე.წ. წერილმანი გადასახადები, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია როგორც საკანონმდებლო, სამთავრობო და კერძო დანახარჯები, ისე საგადასახადო შემოსავლები.

შედარებით ანდა აბსოლუტურად არასაკმარის დოზირებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების შემოდებისას არ ითვალისწინებენ ან უგულვებელყოფენ კერძო სექტორის გეგმებს. ასეთ შესაძლებლობაზე ნათლად მეტყველებს გადასახადებისადმი მზარდი წინააღმდეგობა. მიზანთან დამოკიდებულებაში საშუალების კონფორმულობის შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, როგორც აქტიური (გადასახადებისათვის თავის არიდება ან მათი უარყოფა, საგადასახადო ბოიკოტი), ისე პასიური წინააღმდეგობის ფორმები (ევუქტიანობის დაღემა). ასეთი არაზუსტი დოზირების შედეგია, მაგალითად,

არადეკლარირებული ეკონომიკა, როგორც ჩრდილოეთი ეკონომიკის ნაწილი.


შედარებით ანდა აბსოლუტურად არასაკმარისი დონეებზე საშუალებების გამოყენებისას შესაძლებელია გრძელვადიანი შემოქმედებების გაუთვალისწინებლობამაც გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში სარგებელსა და ხარჯებს შორის მოკლევადიანი სასურველი თანაფარდობა გრძელვადიან პერსპექტივაში მის საპირისპირო თანაფარდობად გადაიქცევა. ასეთ საშუალებას კონტრპროდუქტიული ხასიათი აქვს. „ბუმერანგის ეფექტს“ [3, გვ.328] ვეძებულობთ მაშინ, როდესაც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს, როგორც ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებლებს, ხელსაყრელი პირობები ექმნებათ იმით, რომ მათ პროდუქტებზე ფიქსირებული ფასები წესდება, რომელზეც მსოფლიო ბაზრისათვის დამახასიათებელი ციკლური რყევები გაელენას ვერ ახდენს. მოკლევადიან პერსპექტივაში ამან შეიძლება გამოიწვიოს მწარმოებელთა ეფექტიანობის ზრდა, თუ ფართო მოხმარების საქონელზე ფასების ელასტიკურობა შედარებით დაბალია. გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია ბუმერანგის ეფექტი მოგვევლინოს იმ ფორმით, რომელიც გულისხმობს (სხვა თანაბარ პირობებში), რომ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება მარტივია და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით არ ხდება. შესაბამისად, სხვა განვითარებადი ქვეყნებიც ერთგვარად წარმოების პროცესში, რის შედეგადაც მოკლევადიანი ფასები და წარმოების ეფექტიანობა იცემა. იგივე ფასებით იწინს თავს, როდესაც მიწოდების სიდიდეს ფასების გრძელვადიანი ელასტიკურობის გათვალისწინებით ადგენენ. მოთხოვნის ასპექტით, გამორიცხული არ არის, რომ მაღალი ფასები დადებით ზეგავლენას ახდენდეს სუბსიდირებისა და უკუგების პროცესებზე აქედან გამომდინარე კი ფასების მიმართ მოთხოვნის ელასტიკურობა მატულობს.

შედარებით თუ აბსოლუტურად ხედვებით დოზირების კიდევ ერთი შემთხვევა წარმოიშობა, როდესაც საშუალებების გრძელვადიანი სემოქმედება საერთო სემოქმედებად განისაზღვრება და მასთან დამოკიდებულებაში ხდება დოზირების ზრდა, რაც კონტრპროდუქტიულ ღონისძიებად გვევლინება. როდესაც მოკლევადიან პერსპექტივაში კონიუნქტურა პროგრამის განხორციელებაზე საგრძნობ ზეგავლენას ვერ ახდენს, ჩნდება იმის ცდუნება, რომ არსებული პროგრამა „გაუმჯობესებული“ იქნეს სხვა პროგრამით. როდესაც შედეგის დაყენება მოკლევადიანი და

სუსტი რეაქციის საბაზად გადაიქცევა, ისე როგორც ყველა კომპერენტული სისტემის შემთხვევაში, თავს იჩენს ხოლმე „ჭარბი“ მართვის საჭიროება.

ამ შესაძლებლობას უკავშირდება კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც „ჯამურ ეფექტს“ [2, გვ. 732] უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებას საქმიანტერვენციისაგან თავისუფალ სიტუაციასთან კი არ აქვს, არამედ მას მოქმედებისას სხვა ადრე მიღებულ ზომებთან აქვს შეხება. ამიტომ დროთა განმავლობაში აუცილებელი ხდება სხვადასხვა სახის დახმარება, რომელიც ხელს უწყობს სტრუქტურის შენარჩუნებას ანდა მასზე მისადაგებას აშკარა თუ ფარულ მიზანთან დამოკიდებულებაში. ამას ემატება განაწილების პოლიტიკასთან დაკავშირებული უამრავი ღონისძიება, რომელთა თანხმობები ზეგავლენები (ინფორმაციული უსაფრთხოების სიცვმა) მობილობას აყვრებს. მათი თავიდან აცილება შესაძლებელია იმავე ეფექტების მქონე ზომებით (წარმოების შიგნით დისლოკაციის ადგილის შეცვლასთან დაკავშირებული ბარიერები), რომელთა შესახებ წინასწარ თანხმდებიან შრომის ბაზრის მხარეები. კონკურენტული პოლიტიკაში დაშვებული ცვლილებები (ვაჭრობის შეზღუდვასთან დაკავშირებული ზომები) დიდ ღონისძიებათა „ჯამური ეფექტი“ იმაში დიდგომარეობას, რომ იხდულება თავისუფალი სტრუქტურული ცვლილებების შესაძლებლობა. იგი საწარმოების დახურვასა და სტრუქტურულ უშუშევრობაში გამოიხატება, ვიდრე საქმე სექტორული და რეგიონული რესურსების გადანაწილებაზე მიდგებოდეს. ზოგიერთ ინდივიდისათვის წარსულში განხორციელებული ინტერვენციების „ჯამური ეფექტი“ იგივეა, რაც საბაზრო კოორდინაციისა და სტრუქტურული ცვლილების უარყოფა. ამიტომაც იგი ვერ ხელავს ცალკეულ ღონისძიებასთან დამოკიდებულებაში ხარჯებისა და სარგებლის ხელახლა შეფასებისა და ღონისძიების სხვა ზომით ჩანაცვლების აუცილებლობას.

და ბოლოს, არაზუსტ დოზირებას ხშირად ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვით მონაცემთა ცვლილება იწვევს, როდესაც ცალკეული ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების გეგმა ბაზარზე ადაპტირების უსაშველოდ დიდ უნარს თხოვს. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაფასებული შესაბამისობის რეაქციების შესახებ აუცილებელი ცოდნა. თუ კვლავაც განვგრძობთ მართვის



შესახებ არსებული ცოდნის საფუძველზე ღონისძიებათა შეფასებას, ღონისძიებასთან დაკავშირებულ ცდომილებებს ისევ უნდა ველოდოთ.

ცალკეულ საშუალებასთან დაკავშირებულია ღონისძიების სხვადასხვა ხარისხი. ამიტომ ოპტიმალური ღონისძიების შემთხვევაში სხვადასხვა საშუალებას შორის შედარების შესახებ ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი. იგულისხმება ყველა სხვა საშუალება, რომელთა მეშვეობითაც პრინციპულად შესაძლებელია იმავე მიზნის მიღწევა. ასეთი შედარება კი მიზანშეწონილია, როდესაც კონკურენტული ღონისძიებები ივრარქიულად ღაგდება მათი საერთო სარგებელიანობის მიხედვით. საქმე ეხება იმ სარგებელს, რომელიც ყოველთვის მიიღწევა ხოლმე ოპტიმალური ღონისძიების შემთხვევაში. ასეთი შეფასება საერთოდ ნაწილობრივია, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს საშუალებათა შორის კომბინაციების შესაძლებლობას. ასეთი კომბინაციებიდან კი იმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელიც ყველაზე მეტ სარგებელს გვიპირდება. საშუალების შეფასება ასეთი კომბინაციების გათვალისწინების გარეშე ვერასოდეს მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე. ღონისძიების ოპტიმალურ დონის მიხედვით მართვის ცოდნისა და აუცილებელი შეფასებისადმი წაყენებული მოთხოვნები იხრდება. ეს ხდება მაშინ, როდესაც ღონისძიების ნაწილობრივი შეფასების ნაცვლად აუცილებელი ხდება ცალკეული კონკურენტული საშუალების კომბინაციების შეფასება. იგი უნდა განხორციელდეს საშუალებისა და მიზნის მეტ-ნაკლებად მომცველი სისტემების ანდა ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამების შედარების გზით. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება პრობლემა იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი მოქმედების წესრიგის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება.

ღონისძიებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ყოველგვარ ეკონომიკური პოლიტიკის საშუალების გამოყენება ან მისი ზემოქმედება. ეკონომიკური ასპექტით დაყოფილებებს ყოველთვის იწვევს ტექნიკური, ინსტიტუციური და ქვეყანასთან დაკავშირებული კონფლიქტები. ტექნიკური დაყოფილება ნიშნავს იმას, რომ საშუალების გამოყენებას ეფექტი გარკვეული დროის შემდეგ მოჰყვება. ქვეყანასთან დაკავშირებული დაყოფილება გულისხმობს იმ ვითარებას, რომელიც

გადაწყვეტილების მომზადებასა და გატარებას უკავშირდება. ეს პროცესი განპირობებულია ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებების გატარებულთა ქცევის დაყოფიებით [4, გვ.319].

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები დაყოფილების პრობლემას ხვდებიან, როგორც თავიანთი ზეგავლენის სფეროში (ენდოგენური დაყოფილებები), ისე ამ სფეროს გარეთ (ეგზოგენური დაყოფილებები). გარდა ამისა, საშუალების მოქმედებას ახასიათებს საერთო დაყოფილებები, რომლებიც მისი გამოყენების პროცესს თავიდან ბოლომდე გასდევს. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციისათვის დამახასიათებელია ის საერთო დაყოფილება, რომელიც შემტყნებას უკავშირდება და ხშირად ეგზოგენური დაყოფილების ფორმა აქვს. იგი შედგება:

- აღქმის დაყოფილებისაგან, რისი მიზეზიც ის არის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ცდომილებებზე დაკვირვება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხდება შესაძლებელი;
- კომუნიკაციის დაყოფილებისაგან, რომელიც გულისხმობს, რომ ცდომილების შესახებ ინფორმაციის მომზადებასა და გადაცემას გარკვეული დრო ჭირდება.

მოვლენათა მეორე ჯგუფს წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციისათვის შინაგანად დამახასიათებელი დაყოფილებები:

- დიაგნოზის დაყოფილების მიზეზი ის არის, რომ მიღებული ინფორმაციის შეფასებისა და ცდომილების ანალიზისათვის აუცილებელია გარკვეული დრო;
- დაგეგმვასთან დაკავშირებული დაყოფილება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამის შედგენა გარკვეულ დროს საჭიროებს;
- გადაწყვეტილების დაყოფილებაც იმ დროსთანაა დაკავშირებული, რომელიც აუცილებელია მოქმედების შესაძლებლობათა შესაფასებლად.

განხორციელების დაყოფილება თავს იყენს პროგრამის ხორცშესხმის პროცესში, როდესაც მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

საშუალების გამოყენება და მის შესახებ ინფორმაცია ცვლის კერძო სუბიექტების პოზიციებს და იწვევს მათ განსხვავებულ რეაქციას. ამის შედეგად წარმოშობდ დაყოფილებებს გარე დაყოფილებათა ფორმა აქვს და შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

- პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით – მის (პროცესის) შემდეგ წარმოშობილი დაყოფილება, რომელიც ღონისძიების დასრულების შემდეგ და მიზანზე პირველ ზემოქმედებამდე იყენს ხოლმე თავს;

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

• პროცესით განპირობებული დაყოვნებები, რომლებსაც იწვევს ის, რომ პროცესის დასრულების შემდგომი დაყოვნებები მუდმივად არ წარმოიშობა. ისინი ჩნდებიან გარკვეული დროის შემდეგ, სანამ მიზანზე საერთო შემოქმედება მოხდება.

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციებისათვის დამახასიათებელი დაყოვნებები განსხვავებული ელემენტებისაგან შედგება, ვიდრე კერძო სექტორისთვის დამახასიათებელი ანალოგიური დაყოვნებები. კერძო სექტორის შემთხვევაში საქმე ეხება კერძო სუბიექტების რეაქციებს ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებაზე.

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციების შემთხვევაში შემეცნებასთან, ინსტანციებთან და

შემოქმედებასთან დაკავშირებული დაყოვნებები მანამ წარმოიშობა, ვიდრე საშუალების გამოყენებას შემოქმედება მოჰყვება. ამიტომაც აუცილებელია პროგნოზირება, რომელიც ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემასთან დაკავშირებით დროის მოცემულ მომენტში. ამ სიძველის უზულებელყოფა ან მისი მცდარად შეფასება ეკონომიკური პოლიტიკის კონიუნქტურის სფეროში იმას ნიშნავს, რომ სტაბილიზების მიზნით გატარებულმა ღონისძიებამ ფიასკო განიცადა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. KIRSCHEN, E.S. u.a., Hrsg. (1964), *Economic Policy in Our Time*, Vol. I, Neudruck, Amsterdam 1968.
2. TUCHTFELDT, E. (1970a), *Ueber unerwünschte Nebenwirkungen wirtschaftspolitischer Massnahmen*. Kyklos 23.
3. GIERSCH, H. (1961), *Allgemeine Wirtschaftspolitik (Erster Band: Grundlagen)*, unveränderter Nachdr., Wiesbaden, 1990.
4. STREIT, M. E. (2005), *Theorie der Wirtschaftspolitik*, 6. Auflage, Stuttgart.
5. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბ., 2012.

Assessment and dosage problems of economic policy

Revaz Gvelesiani

Head of the Department of Economical policy
of the Ivane Javakishvili Tbilisi State University,
Full professor, Doctor of Economic Sciences

While using economic policy, besides some estimations dosage borders should also be taken into consideration. Of course it is impossible to dose everything precisely. In this context we should have in mind the difference between qualitative and quantitative means. Qualitative tool is for example, the law of labor protection, law against cartel or unfair competition. Quantitative tool is tax rate and interest rate, governmental investment cost or cost of promissory withdrawal. Dosage borders which are set by the national law or international agreement are especially important. As a rule, they limit the scope for economic policy followers.

Aspect estimating problem of economic policy tools is connected to the dosing problem. This problem can only be considered when: 1) the thing that should be estimated is accurately dosed; 2) Impact on goal with accompanying impact changes according to the dosage degree and both short-term and long-term impacts are evaluated; 3) Costs of using some kind of things are not fixed. They change by the dosage degree and total quantity is known.

29371





ვასილ ხიხანიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

გლობალიზაცია არის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ურთიერთდამოკიდებულებებისა და ურთიერთგავლენის პროცესი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. გლობალიზაცია ესაა მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ინტეგრაციისა და უნიფიკაციის პროცესი, რის უმთავრეს შედეგსაც წარმოადგენს შრომის საყოველთაო დანაწილება მთელი პლანეტის მასშტაბით, კაპიტალის, ადამიანური და საწარმოო რესურსების მიგრაციები, კანონმდებლობის სტანდარტიზაცია, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესები, ასევე სხვადასხვა კულტურათა დაახლოება და შერწყმა. ეს არის ობიექტური პროცესი, რომელიც სისტემური ხასიათის მატარებელია, ე.ი. მოიცავს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს. ამ ახალი მოცემულობის წედობა და ანალიზი არის დღეს ეთიკური ეკონომიკის ცენტრალური ამოცანა. ეთიკური ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება ეთიკურ ფასეულობებზე, მთითსოვს მიმდინარე გლობალიზაციისა და მსოფლიო ინტეგრაციის პროცესების ჯეროვან გათვალისწინებას. ყოველი პარადიგმა გამომდინარეობს სამყაროს წვლილის საკუთარი ზოგადი ურთიანობიდან. მსგავსი დამოკიდებულება არსებობს ეთიკური ეკონომიკის, როგორც პოსტმოდერნის ახალი პარადიგმის მიმართაც.

ისტორიისათვის უადრესად მოკლე დროში კაცობრიობამ საოცარი მეტამორფოზა განიცადა. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების შედეგად მსოფლიო ჩვენს წარმოდგენაში თითქოს „შეიკუმშა და დაპატარავდა“. კონტინენტებს, სახელმწიფოებსა და ადამიანებს შორის მანძილები „შემოკლდა“, დროის მიმდინარეობა კი დაქარდა. აშკარაა, რომ თანამედროვე ცივილიზაცია გიგანტური ნაბიჯებით მიემართება ზოგადპლანეტარული ერთიანობისაკენ. ყოველივე ეს შედეგია იმ პროცესისა, რომელმაც გლობალიზაციის სახელწოდება მიიღო [1].

დადევანდელ მსოფლიოში არსებობს განსხვავებული მიდგომები გლობალიზაციის, როგორც მსოფლიოს მრავალგანზომილებიანი პროცესის არსის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მაგალითად: გლობალიზაციის ცნების თანამედროვე გააზრების გამოხატულებად შეიძლება მიჩნეული იქნეს ცნობილი კანადელი სოციოლოგის მარშალ მაკლუხანის მიერ 1960 წელს გამოანთქეპაი „გლობალიზური სოფლის“ შესახებ, რაც წარმოადგენს მსოფლიო თანამედრობობის შეფასებით აღნიშვნას[2]. რაც შეეხება თვითონ გლობალიზაციის ცნებას,

მიუხედავად გასული საუკუნის 60-იან წლებში მისი საყოველთაოდ ხმარებულ ლექსიკურ კრებულში შემოტანისა, 80-იან წლებამდე, მაინც არ მოხდა მისი ფართოდ აღიარება, რაც ეთიხევა გლობალიზაციის პროცესის სირთულისა და მრავალგანზომილებიანობის შესწავლის დაწყებას. იმავე 80-იან წლებამდე, აღნიშნული პროცესი ხშირად იწოდებოდა მოდერნიზაციის პროცესად. მოდერნიზაციის თეორიას ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა იელის უნივერსიტეტის პროფ. ი. ეალერშტაინი [2]. ლიოილის (ჩიკაგოს) უნივერსიტეტის პროფ. ე. გასტეინის აზრით, ზემოთ აღნიშნულმა კონცეფციამ და მისმა ანალიზმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა გლობალიზაციის თეორიის განვითარებას [3].

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ფართო გავრცელებას პოულობს კონცეფცია, რომლის თანახმად თითოეულ ქვეყანაში არსებობს ეკონომიკის ორი ტიპი: ე.წ. „ლოკალიზებული ეკონომიკა“ და „გლობალიზებული ეკონომიკა“. ეკონომიკის ეს ორი ტიპი „სხვადასხვა ფასად“ ასრულებს განსხვავებულ ფუნქციებს. უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში მომხდარმა რევოლუციურმა გადატრიალებამ ტექნოლოგიისა და მენეჯმენტში, გამოიწვია

საქმიანობის სახეობათა მასშტაბური გადადინება ერთი ტიპის ეკონომიკიდან მეორეში, კონკრეტულად კი – „ლოკალიზებულიდან“ „გლობალიზებულ“ ეკონომიკაში [4].

„კონცეპტუალური წყობის ცენტრში“ მას ანუ გლობალიზაციას აყენებს ამერიკელი სოციოლოგი ჯ. მაკლინი, რომელიც 1981 წელს მოუწოდებდა „სოციალური ურთიერთობების მზარდი, გლობალიზაციის ისტორიული პროცესის შეცნობისაკენ“ [10].

პიტებურგის უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგი რ. რობერტსონი ამ მოვლენასთან დაკავშირებით გეტყავს ზოგს საკუთარი შეხედულებების სისტემას. იგი წერს, რომ გლობალიზაციის რეალური ბუნება არის დაფარული, ხოლო პერიფერიული დამატებითი კონცეპტები, ისეთი, მაგ., როგორცაა ეკონომიკური საკითხების ანალიზი, პირიქით – გადაჭარბებული. მისი აზრით, გლობალიზაციის ყველაზე უფრო მარტივ განსაზღვრებას შეესაბამება „მსოფლიოს შეკუმშვა“ [5]. ზემოთ ნახსენებ პროფ. ი. ვალერშტაინს მიაჩნია, რომ გლობალიზაციის, როგორც მოვლენის განხილვა, დამახასიათებელი თანამედროვე მსოფლიოსთვის, მცდარია [იხ. წყარო 2] და რომ საკუთრივ გლობალიზაცია და მასთან ასოცირებული პროცესები არსებობს ობიექტურად. მისი გარდაუვალი შედეგია ახალი მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბება და გლობალიზაციასთან დაკავშირებული მთელი პოლემიკა სინამდვილეში წარმოადგენს დისკუსიას მსოფლიო სისტემის ორგანიზაციის შესახებ.

სოციალური მეცნიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ა. გიდენსი, გლობალიზაციის ცნებას განმარტავს როგორც „მსოფლიო სოციალურ ურთიერთობათა ინტენსიფიკაციას, რაც მიუხედავად ტერიტორიული დაცილებისა, იმგვარად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მრავალი მილის დაშორებით მიმდინარე მოვლენები და პროცესები გაელენას ახდენენ ერთმანეთზე“ [6].


ზენი აზრით, საყურადღებოა გლობალიზაციის ანალიზისადმი გერმანელი მეცნიერის უ. ბეკის მიდგომა. ულრიხ ბეკი გლობალიზაციას განიხილავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებების კონტექსტით [8]. მისი აზრით, გლობალიზაცია „მსოფლიოს ბაზრის ბატონობის ნეოლიბერალური იდეოლოგია“ [იხ. წყარო 8, S. 228], რაც სინამდვილეში ხშირად განიმარტება, როგორც გლობალიზაციის მთელი პროცესი. „გლობალიზაცია“ ბეკთან აღნიშნავს პროცესის ხასიათს, რაც მიმდინარეობს

ტრანსნაციონალურ სფეროში, მხედველობაშია: ტრანსნაციონალური სივრცის, მოვლენების, პრობლემების, კონფლიქტების, ბიოგრაფიების ინტენსიფიკაცია. „გლობალიზაციის“ ცნების თვისებებს, როგორცაა თანამედროვეობა, დასახვდრულობა, ინფორმაციულობა, და შესაბამისად, წარმოადგენს ყველაზე უფრო ხუსტება და აქტუალურს.

სიტყვა „გლობალიზაციის“ ქვეშ იგულისხმება „პროდუქტის, კაპიტალისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრების აღმოცენება“. გლობალიზაცია არ არის ახალი მოვლენა. ის არის აქამდე არსებული ზღვარგადასული მატერიალურ და სულიერ ტრანსაკციათა ინტენსიფიკაცია, რომელიც უკანასკნელ დრომდე ცნობილი იყო „ინტერნალიზაციის“ სახელწოდებით [13]. გლობალიზაცია ეს არის ობიექტური მსოფლიო ტენდენცია, საერთაშორისო პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, ფინანსური, ინფორმაციული, ტექნიკური და სხვა კავშირებით განპირობებული და განმტკიცებული სახელმწიფოებს შორის სხვადასხვა დონეზე [14].

გლობალიზაცია არის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ურთიერთდამოკიდებულებებისა და ურთიერგაელენის პროცესი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, დაფუძნებული კაპიტალის დაუბრკოლებელ გადაადგილებაზე, სწრაფ ტექნოლოგიურ განახლებაზე, სატარიფო ბარიერების დაწყობა და საქონლისა და კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციაზე, კომუნიკაციურ დაახლოებაზე, პლანეტარულ მეცნიერულ რევოლუციაზე, ეროვნებათშორის საზოგადოებრივ მოძრაობებზე, ტრანსპორტის ახალ სახეობებზე, ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიის რეალიზაციასა და ინტერნაციონალურ განათლებაზე [15].

გლობალიზაცია ეს არის მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ინტეგრაციისა და უნიფიკაციის პროცესი, რის უშთაერვს შედეგსაც წარმოადგენს შრომის საყოველთაო დადაწილება მთელი პლანეტის მასშტაბით, კაპიტალის, ადამიანური და საწარმოო რესურსების მიგრაციები, კანონმდებლობის სტანდარტიზაცია, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესები, ასევე სხვადასხვა კულტურათა დაახლოება და შერწყმა. ეს არის ობიექტური პროცესი, რომელიც სისტემური ხასიათის მატარებელია, ე.ი. სივრცის საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს.



ისტორიკოსები ამ პროცესს განიხილავენ როგორც კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ ეტაპს. ეკონომისტები ათვალას იწყებენ ფინანსური ბაზრების ტრანსნაციონალიზაციიდან. პოლიტოლოგები ხაზს უსვამენ დემოკრატიული ინტიტუტების გაერცვლებას, კულტუროლოგები გლობალიზაციის გამოვლინებას უკავშირებენ კულტურათა ევსტერნისაციას, ამერიკული ეკონომიკური ექსპანსიის ჩათვლით. გლობალიზაციის პროცესის განმარტებისათვის არსებობს საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიდგომებიც.

გლობალიზაცია როული და მრავალწახნაოვანი კატეგორიაა. იგი ზემოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე-პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე, იდეოლოგიაზე, რელიგიაზე და ა.შ. გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტების ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა დღის წესრიგში აყენებს ამ ფენომენის კომპლექსური შესწავლის აუცილებლობას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს დისციპლინათაშორის მიდგომის საფუძველზე და ეკონომიკურ თეორიას ამ აზრით მნიშვნელოვანი როლი აკისრია [იხ. წყარო 1, გვ. 56].

გლობალიზაციისათვის შეუქცევად ფორმას იღებს ერთი ეკონომიკური ტიპის მეორეთი ჩანაცვლების პროცესი. დიბერტული საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ადგილს იკაავებს ახალი, ეთიკურ პრინციპებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული კუმანური ეკონომიკური ურთიერთობები. ეკონომიკასა და ეთიკას შორის არსებული დიალექტიკური კავშირ-ურთიერთობები თანამედროვე მსოფლიოში გაიზარება პოსტმოდერნის, ახალი მსოფლიო ეთოსის ჭრილით, პოსტმოდერნის ეკონომიკის, ანუ ეთიკური ეკონომიკის ახალი პარადიგმა ფუფუნება ახალ მსოფლიო ეკონომიკურ ეთოსს. დღეს უკვე შეუქმნებელია ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ბაზრების ეთოსზე საუბარი, რადგან გლობალიზაციის კულმინაციურ ფაზაში მან შეიძინა გლობალური ეკონომიკური ეთოსის ფორმა [9]. მსოფლიო ეკონომიკის ამ ახალი მოცემულობის წვდომა და ანალიზი არის დღეს ეთიკური ეკონომიკის ცენტრალური ამოცანა. მისი მეცნიერული მიდგომის უმთავრეს საკითხთაგანია ეკონომიკის დამოკიდებულება ეკოლოგიასთან, კულტურასთან, რელიგიასთან, ტრადიციებთან, ესთეტიკასთან და ეთიკასთან, რათა მოხერხდეს გლობალიზებული ეკონომიკის გაგება და ახსნა [იხ. წყარო 9, S 70].

ეთიკური ეკონომიკის ახალი პარადიგმა, რომელიც დაფუძნებული იქნება ერთიკურ ფასეულობებზე - დაბალი უმუშევრობისა და ინფლაციის, წარმოების, ვაჭრობისა და კაპიტალის მობილურობის ამაღლების, წარმოების ზღვრული ხარჯების, ინფორმაციის გაერცვლების ნულოვანი დანახარჯების, ტრანსაქციების სისწრაფისა და ტრანსაქციული დანახარჯების უმცირების ფონზე, უნდა უზრუნველყოფდეს ეკონომიკის მდგრად განვითარებას. ის საჭიროებს მიმდინარე გლობალიზაციისა და მსოფლიო ინტეგრაციის პროცესების ჯეროვან გათვალისწინებას, რაც ერთის მხრივ, იწვევს ყოველი ნაციონალური ეკონომიკის ფუნქციონირების პირობათა ცვლილებებს, ხოლო მეორეს მხრივ, ახალი ნაციონალური ეკონომიკური და სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკის კოორდინაციის არჩევასთან დაკავშირებით მოითხოვს ახალ მიდგომებს [11].

გლობალური კაპიტალიზმი მხოლოდ მაშინ არის წარმატებული გრძელვადიან პერსპექტივაში, როცა ის საზოგადოებრივად მისაღები [7] და გამაგრებულია ძლიერი მორალური საფუძვლებით. ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა მოქმედია და ფუნქციონირებს განსაზღვრულ მომენტამდე. მაგრამ მაშინვე განიცდის კრახს, როგორც კი მისი ეთიკური საფუძვლები იწყებენ რღვევას, ან ჩნდება ახალი საზოგადოებრივი სისტემა, როგორც მისი რეალური ალტერნატივა [იხ. წყარო 7, P. 148]. ამიტომ მიგვანია, რომ გლობალური ეკონომიკის ახალი სისტემა, რომელიც წარმოდგენილი იქნება ეთიკური ეკონომიკის პარადიგმის სახით, უნდა იყოს დაფუძნებული კერძო და საზოგადო ინტერესთა თანხედრებაზე, რაც იქნება დარეგულირებული ისეთი ფასეულობებით, როგორიცაა: ჰუმანურობა, სიცოცხლის პატივისცემა და მოფრთხილება, არაძალადობა, სოლიდარობა, სამართლიანობა, ტოლერანტობა, თანასწორობა, პარტნიორობა, ერთგულება.

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ეთიკური ეკონომიკის ახალი პარადიგმის ცხოვრებაში დანერგვა და გატარება, საჭიროა სამცენიერო დონეზე მოხდეს ეკონომიკისა და ფილოსოფიის (ეკონკრეტულად კი სოციალური ეთიკის) დაახლოება და საფუძველი ჩაეყაროს ორი მიმართულების კონსტრუქციულ თანამშრომლობას.

ყოველი პარადიგმა გამომდინარეობს სამყაროს წვდომის საკუთარი მოდელის ერთიანობიდან [16] მსგავსი დამოკიდებულება არსებობს ეთიკური ეკონომიკის, როგორც პოსტმოდერნის ახალი პარადიგმის მიმართაც.

1. შექვაბიშვილი, ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ. 2009 წ., გვ. 5.
2. Wallerstein I., Globalization or the age of transition? A long-term view of the trajectory of the world system // I. Wallerstein// International Sociology. – V. 15-2000-№3
3. World Economic Outlook: Globalization and External Imbalances. – Washington, D.C.: International Monetary Fund, 2005 (April) P. 129
4. Garelli, S. A Tale of Two Economies //The Complete MBA Companion/Ed. by G. Bickerstaffe and T. Dickson. – London; Lanham (Maryland): Pitman, 1997 – P. 482.
5. Robertson, R., Globalization: Social Theory and Global Culture/ R. Robertson. – SAGE. – 1992, P. 6.
6. Giddens, Anthony, The Consequences of Modernity, Standford, 1990, P. 64
7. Chapter , Hans Küng, An Ethical Framework the Global Market Economy; Making Globalization Good. (The Moral Challenges of Global Capitalism) Edited by Hohn H. Dunning, Oxford, 2003, P. 147
8. Beck, Ulrich., Was ist Globalisierung? Irtrümer des Globalismus – Antworten auf Globalisierung, Frankfurt/Main, 1997, S. 26
9. Peter Koslovski (Hg.) Weltwirtschaftsethos (Globalisierung und Wirtschaftsethik), Passagen Verlag, Wien, 1997, S. 69
10. Иноземцев В. А., Глобализация; иллюзии и реальность/В. Л. Иноземцев//Свободная мысль – XXI.-2000-#1 – С. 28
11. А. Б. Кузнецов, «Новая экономика» и Новая экономическая парадигма (Актуальные проблемы экономической теории), экономическая наука современной России, №2, 2002 г. С. 7
12. <http://www.marshallmcluhan.com/marchand.html>
13. www.muellerscience.com/.../Globalisierung.htm
14. vestnik.yspu.org./releases/ekonomika/39_3
15. www.pr-engineering.narod.ru/glos.html
16. <http://www.ushakov.org/arch/000000cf.htm>

For Explanation of the Globalization Notion

Vasil Khizanishvili

PhD in Economics

Asistent Professor of Telavi State University

Globalization is the various sphere relationships of the public life and mutual influence process in the sphere of international relationships. Globalization is the World Economical, Cultural Integration and Unification process, what's the most important result is the universal solution of the work across the entire planet, equity, the human and manufacturing recourses migrations, Standardization of laws, Economical and Technological processes, also different cultures closer and blending. This is the objective process, which is the bearer of the systematic character, so, it includes all the sphere of the Society. Access of this new Givens and the analysis today is Ethical Economics Central task. The Ethical Economics, which will be founding on the ethical values, needs the duly consideration of the current globalization and the world integration process. Every paradigm are derived from the unity of the own model of the Universe access. The same dependence existed to the Ethical Economics, as the postmodern new paradigm.



რისკების მართვა და გადაწყვეტილების ძიების ანალიზი მენეჯმენტსა და სტატისტიკაში



ნინო შარმაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი



ირინე მაისურაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სტატიაში „რისკების მართვა და გადაწყვეტილების ძიების ანალიზი მენეჯმენტსა და სტატისტიკაში“ განხილულია რისკების მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უეფექტიანობა. კვლევის მეთოდოლოგიურ ბაზად უნდა ავიღოთ: რისკების მართვისადმი სისტემური მიდგომა, ფინანსური მენეჯერებისათვის გადაწყვეტილების მიღების თეორიები; მენეჯმენტის პასუხისმგებლობის და ვალდებულებების მართვის პრინციპები, რისკის საფუძვლებისა და შეფასების სტრატეგიის შერჩევის თეორია, ფინანსური რისკების მართვის კრიტერიუმები, რისკის ღირებულებითი ზეარის გაანგარიშების მეთოდოლოგია.

ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე დასავლური პროგრამები ითვალისწინებს გადაწყვეტილებების მიღებისას რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას, რის საილუსტრაციოდ იყენებს შემდეგ მეთოდებს: გაელუნის დიაგრამები, გადაწყვეტილებათა ვარიანტები, სტატისტიკური მონაცემები და ალბათური გაანგარიშებები, დისკონტირებას. ყოველივე ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გადაწყვეტილების ძიების ანალიზის პროცესში.

რისკების მართვა და გადაწყვეტილების ძიების ანალიზი თანამედროვე საქმიანი უთიერეთობების უმნიშვნელოვანესი საკითხია. ნებისმიერ პროცესსა და ორგანიზაციულ სტრუქტურაში საჭიროა რისკი განხილულ იქნას როგორც მოვლენა და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები მისი პრევენციის მიზნით. ამადროულად უნდა ვაღიაროთ, რომ რისკი რთული სტრუქტურული მოვლენაა და მრავალ ფაქტორს ეფუძნება. ნებისმიერი პროცესის განხორციელებისას რისკმენეჯმენტის პროცესის აუცილებლობის გაცნობიერება მნიშვნელოვანი ფაქტორია. მისი კარგად განხორციელების და შესაბამისად თანამედროველად მართვის პირობებში, რისკის მართვის მართებული კოლიტიკა გამოაქვს არა მარტო არასასურველ მოვლენებს, არამედ ერთდროულად შესაძლოა გამოიკვეთოს მომგებიანი და წარმატებული განვითარების პერსპექტივები.

ნებისმიერი ტიპის ბაზარზე მოქმედებს მრავალი წინასწარი შეუცნობელი ფაქტორები, რაც განაპირობებს ბიზნესმენტა მიერ დასახული ეკონომიკური შედეგების შესრულებლობას. ამიტომ, სწორედ ბაზარზე იჩენს თავს ბიზნესმენტის მიერ მიღებული ტაქტიკურ-სტრატეგიული გადაწყვეტილებების უეფექტიანობა, განუსაზღვრელობანი და რისკები ამ გადაწყვეტილებებში. მეწარმე უნდა ცდილობდეს შეიცნოს ბაზარზე არსებული კონსტრუქციული სიტუაცია და ისე ააგოს თავისი ტაქტიკა თუ სტრატეგია, რომელიც საშუალებას მისცემს მას ნაკლები საშიშროების (გაკოტრების, ბაზრიდან გამოდევნის, ახალი საქონლის არ აღიარების მომხმარებლის მიერ, კრედიტის დაკარგვის, ფასების ამაღლებით გამოწვეული ინფლაციური პროცესები, და ა. შ.) რისკთან მჭიდროდ დასაყრდენად. [1, 132-133გვ.]

ყველა პროექტი შეიცავს ისეთ რისკებს, როგორიცაა დანახარჯების გადამეტება, ვადების



დარღვევა, დაბალი მწარმოებლურობა, მომხმარებლების იმედგაცრუება, ბიზნესის მოშლა და სხვ. ამიტომ რისკების განსაზღვრა და მართვა საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხებია. რისკის მართვა ორიენტირებულია იმაზე, რომ განისაზღვროს რაც შეიძლება მეტი შესაძლო უარყოფითი მოვლენა, მისი დგეს მათი გაეცლების მინიმუმაცია, უნდა შეეცადოს, რომ განხორციელდეს მოვლენების პრევენცია, მაგრამ ისინი თუ მაინც მოხდება, უნდა უსრუწველყოთ საშუალებანი გაუთავალისწინებელი ხარვეზების დასაფარავად.

რისკმენეჯერების პრინციპებისა და განხორციელების მეთოდების გათვალისწინებით აუცილებელია თითოეულ ეტაპს ჯეროვანი ყურადღება მიენიჭოს. შინაარსის დადგენის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს პოტენციური რისკების იდენტიფიცირება და განსაზღვრა. რისკის შეცვლად პროცესად შეიძლება მივიჩნიოთ ყველა ის მოვლენა, რომელიც წარმოშობისთანავე იწვევს პრობლემებს. ამდენად, რისკების იდენტიფიცირება უნდა დაიწყოთ მისი თავდაპირველი წყაროდან, ან თავად პრობლემიდან.

მენეჯერებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა გაამახვილონ წყაროს ანალიზზე. რისკის წყარო შესაძლოა იყოს რისკების თვალსაზრისით გასაანალიზებელი სისტემის გარეთ ან შიგნით. რისკის წყაროს ობიექტებად შესაძლებელია მოგვედინონ პროექტის პარტნიორები, მოსარგებლებები, თანამშრომლები, ბუნებრივი მოვლენები.

პროექტთან დაკავშირებული შესაძლო რისკების გამოვლენა და ანალიზი ფორმალურად დაკავშირებულია პროექტზე მუშაობის დაწყებამდე პრობლემური უბნების გამოვლენასთან, ანალიზთან და შეფასებასთან. ეს უფრო პრაქტიკური პროცესია, ვიდრე რეაქტული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პრევენციული პროცესია, რომლის მიზანია ნებისმიერი მოულოდნელობის შემცირება და არასასურველი შედეგების მინიმუმაცია. ეს გარკვეულწილად პროექტის მმართველის მომხმარებელს სარისკო მოვლენისათვის. პროექტთან დაკავშირებული რისკის წარმატებული მართვა საშუალებას აძლევს პროექტის მენეჯერს უკეთესად აკონტროლოს მომავალი და გაზარდოს პროექტის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი დამტიკებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში. ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობით.

პრობლემის ანალიზის პროცესში შესაძლებელია განხილულ იქნას რისკები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ საშიშროებებთან (ფულის წაგების საშიშროება, პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევის საშიშროება,

უბედური შემთხვევები თუ ინციდენტების საშიშროება და სხვ). საშიშროება შესაძლებელია მომდინარეობდეს სხვადასხვა მხრიდან, უმეტესად კი შენაარებების, კლიენტებისა და კანონმდებლებისაგან, ასევე ოფიციალური სტრუქტურებიდან.


რისკების იდენტიფიცირების შერჩეული მეთოდი დამოკიდებულია ტრადიციებზე, საქმიანობის სფეროსა და მათ შეთავსებაზე. იდენტიფიცირების მეთოდები იქმნება ზოგადი ფორმატით ან წყაროს, პრობლემისა და მოვლენის განსაზღვრის შემდგომ.

საქართველოში რისკების მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბება და განვითარება განსაკუთრებული სირთულის ამოცანას წარმოადგენს. პროექტების მართვის პროცესში გამოვლენილ რისკებს და შესაბამის კითხვებს იქვე უნდა გაეცეს პასუხი, რომელსაც თანდევს ადამკვეთი რეაგირება მოჰყვება, ან უკეთეს შემთხვევაში რისკი წინასწარ უნდა იყოს პროგნოზირებული არსებული ტენდენციების ანალიზის და შესაძლო წყაროების მიხედვით.

პროექტების მენეჯერების წინაშე დგება მთელი რიგი ამოცანები, რომელთაგან მნიშვნელოვანია: განისაზღვროს რისკის მართვის და ანალიზის აუცილებლობის მოთხოვნილება; შეირჩეს რისკის მართვის მეთოდები და წყაროები; განხორციელდეს რისკის მართვის და ანალიზის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება; რისკების იდენტიფიკაცია, მისი მართვის და შესაძლო შემცირების საუკეთესო მიმართულებების შერჩევა-განხორციელება; რისკის ღირებულების, ზღვარის განსაზღვრა და კონტროლი; პროექტის მართვის ეფექტიანობის ანალიზი, მონიტორინგი და შეფასება.

თანამედროვე პირობებში პროექტების რისკების მართვის საკითხი მრავალფეროვანი და კომპლექსური სტრუქტურაა, რომელიც სწრაფად განვითარებად გარემოში ცვალებადია დროისა და გარემოებების გათვალისწინებით, სწორედ ამიტომ მისი ყრთიანი სტანდარტის შემუშავება რთულდება, ამიტომ რიგი პრობლემები ატარებს სადისკუსიო ხასიათს და საჭიროებს შემდგომ დამუშავებას.

გამართლებულად მიგვაჩნია ქართველ მეცნიერთა კვლევის მცდელობები ამ სფეროში, რომელიც მიმართულია შეისწავლის და განიხილოს რისკი და მასთან დაკავშირებული პროცესები, როგორც მოვლენა და დღევანდელი მსოფლიოს ეკონომიკური თუ სხვა სფეროების უპირველესი და უმნიშვნელოვანესი კვლევის ობიექტი, შემოქმედის რისკების ძიების, განსაზღვრის,



ანალიზის და მართვის სისტემა; შემუშავოს ინსტრუმენტები და მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შემცირდება რისკები და შეფასდება პროექტების რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობა და შესაძლო დანაქარვის ან ზარლის ალბათობა.

თანამედროვე არასტაბილურ პირობებში რისკების მართვა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს მნიშვნელოვან იარაღს თანამედროვე გლობალური სამყაროს არსენალში. თითოეული პროექტის განხორციელების პროცესში უნდა დადგინდეს თუ რა გარე და შიდა სახის საფრთხეები არსებობს სხვადასხვა დაწესებულებაში და ასევე ყურადღება გამახვილდეს იმ მეთოდებზე, რაც დაეხმარება მენეჯერებს ამ საფრთხეების შემცირებას თუ თავიდან აცილებაში. რისკმენეჯმენტის კვლევის მიზანს წარმოადგენს: ფინანსური, საბაზრო, ბიზნეს, ლიკვიდურობის, ვალუტის კურსის ცვალებადობისა და ინფლაციის, ოპერაციული და სისტემური, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული, იურიდიული, გარემო და პოლიტიკური რისკების დადგენა. კვლევა ასევე უნდა მოიცავდეს რისკების გაზომვის, შეფასების მეთოდოლოგიას და რისკის ქვეშ მყოფი ღირებულებითი ზღვარის (VAR) შეფასებას. პრაქტიკული მაგალითები, სხვადასხვა დაწესებულების კონტექსტში, წარმოაჩენს მნიშვნელოვან საკითხებს და გავაწვდის რისკების მართვაში გამოყენებულ წარმატებულ საშუალებებსა და მეთოდებს.

კვლევის მეთოდოლოგიურ ბაზად უნდა აიღოს: რისკების მართვაში სისტემური მიდგომა, ფინანსური მენეჯერებისათვის გადაწყვეტილების მიღების თეორიები; მენეჯმენტის პასუხისმგებლობის და ვალდებულებების მართვის პრინციპები, რისკის საფუძვლებისა და შეფასების სტრატეგიის შერჩევის თეორია, ფინანსური რისკების მართვის კრიტერიუმები, რისკის ღირებულებითი ზღვარის გაანგარიშების მეთოდოლოგია.

ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე დასავლური პროგრამები ითვალისწინებს გადაწყვეტილებების მიღებისას რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას. ხემოხსენებული საილუსტრაციოდ იყენებს შემდეგ მეთოდებს: გავლენის დიაგრამები, გადაწყვეტილებათა ვარიანტები, სტატისტიკური მონაცემები და ალბათური გაანგარიშებები, დისკონტირებას. [2, გვ.182-183.]

ძალიან სწორად მენეჯერები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ მმართველობითი რისკის კონცეფციაზე, მმართველობითი რისკის

სტრატეგიაზე, ფინანსური რისკების ანალიზზე, მაშინ როდესაც პროექტების განხორციელების პროცესში ასევე მნიშვნელოვანია პროგნოზირების მეთოდების გამოყენება, „ბუნებრივად – განუსაზღვრელი“ სარისკო სიტუაციების პროგნოზირება და ქცევითი რისკები.

სწორედ ფარული ქრინომეტრების ფორმა აძლევს ასეთი სახის კვლევებს უტყუარი ინფორმაციის შერჩევის საშუალებას და ამით განსხვავდება იგი დაკვირვების განხორციელების დოკუმენტური ხერხისაგან, რომლის მიხედვითაც რესპოდენტების მიერ შედგენილი დოკუმენტები სხვადასხვა მიზეზების გამო დამახინჯებულია. [3, გვ.186-188.]

საკათოვლო მაგალითები ცხადყოფს, რომ მასიური პროექტების განხორციელების პროცესში მენეჯერები ყურადღებას ამახვილებენ პროექტში წარმოქმნილ ნეგატიურ მოვლენებზე და სახავენ მის აღმკვეთ ღონისძიებებს. სასურველი იქნებოდა, რომ ნებისმიერი პროექტების განხორციელების პროცესში მენეჯერებმა წინასწარ განიხილონ ანალოგიურ სფეროში სხვა წარმატებული და წარუმატებელი უცხოური და ადგილობრივი პროექტები და ამის საფუძველზე განსაზღვრონ მსგავსი რისკფაქტორების წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზები და კომპლექსურად შეიმუშაონ რისკფაქტორების წარმატებისა თუ წარუმატებლობის ღონისძიებათა სისტემა.

მაშინ, როდესაც მენეჯერები საუბრობენ მარკეტინგულ სტრატეგიაზე, სასურველია, რომ მათ მარკეტინგული კვლევის როლი დააკვირონ რისკ ფაქტორების გამოვლენის პროცესთან.

რაციონალური გადაწყვეტილებების პოვნის თვალსაზრისით სასურველია პროექტების მართვის პროცესში გამოიყენონ ალბათური შეფასებები, მაგალითად მათემატიკური ლოდინი, რასაც მიიღება ყველა შესაძლო შედეგების შესაბამის ალბათობებზე ნამრავლთა ჯამის საფუძველზე. ყოველივე ეს ძალიან რთული პროცესია თავის არსით და რა თქმა უნდა გამოთვლებით და ითვალისწინებს მთელი რიგი პროცესების მათემატიზირებას, მაგრამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ეს მეთოდები და მიდგომები.

საინფორმაციო რისკების მართვის პოლიტიკა პირდაპირ კავშირშია კომპანიის საინფორმაციო მენეჯმენტთან და საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკასთან. საინფორმაციო რისკის მენეჯმენტის ძირითადი ორიენტირი უნდა იყოს: პროექტის რისკების მართვის მასშტაბების განსაზღვრა; საინფორმაციო რისკების მართვასა

და კომანიის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესებს შორის ურთიერთკავშირი; პროექტის საინფორმაციო რისკების მართვის მიხნები და საფუძვლები; უნდა დაფიქრდეს თუ რა ითვლება მისაღებ რისკად; საინფორმაციო რისკის მართვის პასუხისმგებლობა. როდესაც რისკი გამოვლენილი და შეფასებულია, მიღებული უნდა იქნეს გადაწყვეტილება ადეკვატური პასუხის შესახებ. პასუხებს შორის გამოყოფენ რისკის შემცირებას, ან შენარჩუნებას, გადამისამართებას და მონაწილეობას.

როდესაც პროგნოზირებადი რისკი ხდება რეალური, მაშინ გაუთვალისწინებელი გარემოების გეგმა პრევენციული ღონისძიებაა რისკის ნეგატიური გავლენის შესამცირებლად. გაუთვალისწინებელი გარემოების შემთხვევაში გეგმა პასუხობს კითხვებს: რა, სად, როდის და რა ხარისხით მოხდება? ასეთი გეგმის არარსებობა იწვევს სერიოზულ შეცდომებს მართვისას. დაგვიანებული, ე.ი. რისკის შემდეგ, გადაწყვეტილებების მიღება შეიძლება საკმაოდ საშიში და ძვირადღირებული აღმოჩნდეს. გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში, ადრეულ სტადიაზე, ალტერნატიული ღონისძიებების დასახვა, დაგეგმა ხელს უწყობს კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლას. ეს კი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროექტის მართვას შესაძლებლობებს. გეგმა უნდა მოიცავდეს დანახარჯების შეფასებას და დაფინანსების წყაროს. ყველა მონაწილემ უნდა მიიწინოს ის, რადგან ასეთი გეგმის გამოყენება ნიშნავს სამუშაოთა თანმიმდევრობის პროცესის დადრეკვას. ამიტომ გეგმას უნდა გაეცნოს გუნდის წევრები, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მათი მოყოლანდობა.

თანამედროვე კორპორაციული რისკ-მენეჯმენტი (ინგლისურიდან Enterprise-Wide Risk Management, ERM), ან რისკების ინტეგრირებული მართვა, მთელი ორგანიზაციის დონეზე და მათ საფუძვლზე შექმნილი ERM სისტემები მოწოდებული არიან დააკვირდნენ რისკების ყველა სახეს, შეინახონ ეს ინფორმაცია მონაცემთა ერთიან გლობალურ საცავში, რომელიც ახდენს საბაზო აპარატული სახსრების და წყაროების საბაზო მონაცემების დიდი მოცულობების კონსოლიდირებას და მოწესრიგებას, მათი ადგილმდებარეობისგან დამოუკიდებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ERM-სისტემის და მონაცემთა საინფორმაციო საცავის ინტეგრირებას, უკვე არსებულ ფრონტ-, მიდლ- და ბექ-საოფისე სისტემებთან.

რისკების მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ეფექტურობა

დიდადა დამოკიდებული არა მარტო მონაცემების სისრულესა და ხარისხზე, არამედ აგრეთვე ERM-შესაძლებლობებზე. შექმნას სხვადასხვა ტიპის ანგარიშები და დანართები, რათა დროულად იქნას მიწოდებული ინფორმაცია საბოლოო მიმხარელებისათვის, ყველაზე უფრო მიხერხებულ ფორმაში. ანალიტიკური ინფორმაციის მიღების მაქსიმალური დროულობა შეიძლება მიღწეული უნდა იქნას ყველა პროცესისა და ანგარიშის ოპტიმიზაციის ხარჯზე ERM-სისტემაში და ინფორმაციის მიწოდების თანამედროვე საშუალებების გამოყენების ხარჯზე. ანგარიშების პუბლიკაციის, და რისკების ანალიზის შედეგების შესახებ მონაცემებამდე მიღწევა ორგანიზაციის როგორც შიგნით, ასევე გარეთ, ინფორმაციის წარბეგვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მიხერხებული და ეფექტური მეთოდია.

ინტეგრირებული შეფასება და რისკების მართვა ვარაუდობენ ERM - სისტემაში ჯვარედინი კლასიფიკაციის შესაძლებლობის არსებობას: მიღებული ალტერნატიული შედეგების დაშლას და აგრეგირებას, მოცემული ანალიტიკური რეზერვების მიხედვით. ასეთი შესაძლებლობა უდავო უპირატესობას აძლევს რისკ-მენეჯერს. ჯვარედინი კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა ფორმირებული იქნას ანგარიშები აგრეგირების ნებისმიერ დონეზე: მთლიანად კომპანიების, რეგიონების, განყოფილებების, ინსტრუმენტების და ა. შ., მიხედვით. ჯვარედინი კლასიფიკაციის გამოყენება საშუალებას იძლევა დაეინახოს რისკის მთლიანი სურათი და საფინანსო დაწესებულების პოზიციები.

რისკ-მენეჯერის საქმიანობის ეფექტურობის არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია - დარწმუნებულობა იმაში, რომ მიღებული ანალიტიკური შედეგები მაქსიმალურად ზუსტია. რისკის ნებისმიერი განაგარიშების სიზუსტე დამოკიდებულია მოდელში მიღებულ ვარაუდებსა და დაშვებებზე. ERM-სისტემის შესაძლებლობა, განსახდეროს ნორმალური მოდელისგან განსხვავებული რისკის ფაქტორების მიქცევა და მოიყვაროს ისინი არსებულ ისტორიულ მონაცემებთან შესაბამისობაში, ამაღლებს რწმენას ანალიტიკური შედეგების სიზუსტეში. საუკეთესო ვარიანტი იქნება სისტემა, რომელიც თვითონ შეარჩევს და ყველაზე უფრო ადეკვატურ მოდელს კონკრეტული დროითი რიგისთვის ოპტიმიზაციას მოახდენს.

ERM-სისტემები გახდნენ თანამედროვე ბიზნესის განუყოფელი კომპონენტები. ისინი

საშუალებას აძლევენ რისკების მართვის ქვეგანყოფილებას, განეთარდეს ცალკეული პოზიციების მართვით კონტროლიდან კომპანიის ფინანსური სიმტკიცის ამაღლების ფუნდამენტურ ფაქტორამდე.

ამგვარად, შეიძლება შემდეგი დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთება:

1. სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მართვა განუსაზღვრელობის პირობებში – ეს არის პროგნოზირებად შედეგში გადახრების დონის გამოვლენის, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის პროცესი, რომლებიც საშუალებას იძლევიან თავიდან ავიცილოთ ან შეეამციროთ უარყოფითი ზემოქმედება შემთხვევითი ფაქტორების აღდგენის პროცესსა და შედეგებზე. იმავედროულად შემოსავლის მაღალი დონის უზრუნველყოფით;

2. სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის სისტემა აგებული უნდა იყოს რეკრუტინგული მიდგომის საფუძველზე, ე.ი. პქონდეს მუდმივი მოდიფიცირების უნარი მართვის მეთოდების კომპლექსის გამოყენებით, ადეკვატურად შემოსული საინფორმაციო ნაკადების ყველა ეტაპზე;

3. რისკების მართვა მოიცავს: ეკონომიკის სუბიექტების საქმიანობის შედეგების გამოვლენას სარისკო სიტუაციაში; მშენებლობის ხარაზოების და სისტემების ფუნქციის პროცესის აგებას

ვარემოს ცვლადი პირობების მიმართ; იმ დონისხივების უშუშუაებას და განხორციელებას, რომელთა დახმარებითაც შეიზლება ნეიტრალიზებული ან კომპენსირებული იქნას სამეწარმეო ქმედებების სავარაუდო ნეგატიური შედეგები;

4. სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის ეფექტური მართვის პირობები განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით: საინვესტიციო საქმიანობის ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შერწყმა; საინვესტიციო საქმიანობის მართვის ანალიტიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის პროცესის მეცნიერულობა; საინვესტიციო საქმიანობის მართვის მეთოდური აპარატის ანალიტიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის სრულყოფის ახალი მიზნებისა და ამოცანების შემუშავება; [4]

5. საინვესტიციო საქმიანობის მართვის უწყვეტი სრულყოფა; ურთიერთქმედება და გონივრული რეგლამენტაცია; საინვესტიციო საქმიანობის მართვის ანალიტიკური უზრუნველყოფის და საინფორმაციო საჭიროების მუდმივობა; სამუშაოს ხასიათის შესაბამისობა შემსრულებლის პოტენციალურ შესაძლებლობებთან; ფირმის საქმიანობის მართვის მენეჯერების კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტობა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. გაბიაშვილი, სტატისტიკური ანალიზისა და ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები, „უნივერსალი“, თბ., 2010.
2. ბ. გაბიაშვილი, ეკონომიკური განუსაზღვრელობა და რისკები ბიზნესმენთა საქმიანობაში, „უნივერსალი“, თბ., 2010.
3. დ. ნარმანია, ნ. ფარესაშვილი, რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში, „უნივერსალი“, თბ., 2012.


Risks Regulation and Decision Seeking Analysis in Management Statistics


Nino Paresashvili
 Doctor of Economics,
Irine Maisuradze
 Doctor of Economics,

The Article “Risks Regulation and Decision Seeking Analysis in Management Statistics” reviews the efficiency of the process for taking modern and justified decisions connected with guidance of risks. The methodological grounds for research should be taken: systematic approach to risks guidance; decision-making theories for financial managers; principles of guidance for management liability; theory of strategy on risks assessment and principles; criteria for guidance of financial risks, methodology for evaluation of risks cost limits.

Modern western programs on business administration envisage usage of qualitative methods for decision-making, for its display it uses the following methods: impact diagrams, decision versions, statistic data and probability calculation, discounting. All these should be taken into account while process of seeking decision.

ახალი მკვლევარი THE NEW ECONOMIST





ახალი პერიოდში THE NEW ECONOMIST

მუქანიში და მისადგობა შესაბამისი კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ.

ცნობისათვის მოგვეყვას დიზელის საწვავზე საცალო ფასის გაანგარიშების მეთოდიკა: პლატცის ფასს ემატება საქართველოს საზღვრამდე ტრანსპორტირებისა და განბაჟების ხარჯები, ეს არის ე.წ. კომერციული ფასი. საწვავი საბაზოზე აღირიცხება კილოგრამებში. ყოველ 1 000 კილოგრამ საწვავის ღირებულებას ემატება აქციზი 150 ლარის ოდენობით, შემდეგ მას ერიცხება დღგ, რომელიც შეადგენს კომერციული ფასისა და აქციზის საერთო ღირებულების 18%-ს. საცალო ქსელში გატანამდე დიზელის ღირებულება (კომერციული ღირებულება+აქციზი+დღგ) ემატება კომპანიის მომსახურების და მოგების ღირებულება, შედეგად ყალიბდება დიზელის გასაყიდი საცალო ფასი.

აღსანიშნავია, რომ დიზელის საწვავი საცალო ქსელში იყიდება ლიტრობით, მაშინ, როდესაც აქციზი და დღგ-ს გაანგარიშება ხდება კილოგრამიდან, ანუ წონიდან, ეს ნიშნავს, რომ 1 ლიტრზე გაანარიშებული აქციზი იქნება ნაკლები, ვიდრე 1 კილოგრამზე, კერძოდ, აქციზი 1 კგ საწვავზე შეადგენს 0,15 თეთრს, ხოლო 1 ლ-ზე 0,125 თეთრს, რაც შეეხება დღგ-ს, მისი ოდენობა უნდა მიგვაწოდოს კონტრაქტორმა კომპანიამ, რამდენადაც იგი დამოკიდებულია პლატცზე არსებულ ფასზე. ამდენად, თუ აქციზის სიდიდე 1 კგ ან 1 ლიტრ საწვავზე მუდმივი სიდიდეა, დღგ, პირიქით, ცვალებადია და ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურ განაწილებას საჭიროებს.

საწვავის განაწილება გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებზე შემდეგნაირად წარმოგვიდგინა: რაიონის თეთიმართელობის ორგანოსთან იქმნება საწვავის სუბსიდირების კომისია, რომელიც თითოეული კომლის მიხედვით სპეციალურ ბარათში აღრიცხავს და საშუალებული ფართობის მოცულობას და ადგენს ამისათვის საჭირო დიზელის საწვავის ნორმატიულ რაოდენობას. საწვავში გლეხი (ფერმერი) იხდის სრულ ფასს.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საშუალების (საგაზაფხულო და საშემოდგომო) დამოთვრების შემდეგ რაიონული კომისია ატარებს შერჩევით მონიტორინგს, რომელშიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მონაწილეობენ საწვავის კონტრაქტორი კომპანიისა და საწვავის იმპორტიორთა კავშირის წარმომადგენლები და ვიზუალური დაკვირვების, აგრეთვე, საწვავის შესყიდვის დამადასტურებელი ქვითრების

საფუძველზე ხელმოწერით ადასტურებს საწვავის ხარჯვის ხისწორებს.

ხატარბული საშუაოების საფუძველზე ჯამდება გამოყენებული საწვავისა და მასზე დარიცხული აქციზისა და დღგ-ს ღირებულება და კომისიის წევრების ხელმოწერით წარედგინება ფინანსთა სამინისტროს ხაზინის სამსახურს, რომელიც აღნიშნულ თანხას ურიცხავს კონტრაქტორ ბანკს. ბანკი თავის მხრივ თანხას ურიცხავს რაიონულ ფილიალებს გლეხებზე გასაცემად.

საწვავის სუბსიდირების შესახებ უნდა მომზადდეს მთავრობის დადგენილების პროექტი, სადაც მითითებული უნდა იყოს ნავთობპროდუქტების კონტრაქტორი კომპანიისა და კონტრაქტორი ბანკის შერჩევის წესი. ნავთობპროდუქტების შერჩეულ კომპანიას უნდა მოეთხოვოს დიდ სოფლებში საწვავის საკუთარი ტრანსპორტით შეტანა.

განსახილველია საკითხი ერთ გლეხზე (ფერმერზე) გასაცემი შედეგათების მოცულობის შესახებ, რომელიც შეიძლება დარეგულირდეს, როგორც დასაშუალებელი ფართობის, ისე საწვავის რაოდენობის მიხედვით.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ერთ კილოგრამ თუ ერთ ლიტრ საწვავზე აქციზის ოდენობის გაანგარიშება ადვილია, რადგან მისი სიდიდე საწვავის ერთეულზე მუდმივია. რაც შეეხება დღგ-ს, იგი დამოკიდებულია საწვავის კომერციული ფასზე, ანუ შეიცვლება იმის მიხედვით, თუ როგორია პლატცის საწვავის ფასი.

აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება სუბსიდირებული იქნეს გაყიდული საწვავის თითოეული ლიტრი, ვიქვით 45 თეთრით. ამ ეტაპზე გამართლებული იქნება თითოეული კომლის საკუთრებაში ან სარეგულირებაში (ოჯარა) არსებული სახანავ-სათესი ფართობის დამუშავებისთვის საჭირო საწვავის რაოდენობის დადგენა. შეიძლება მოვახდინოთ ასეთი გაანგარიშება: ერთი ლიტრი დიზელის საწვავი ბენზინგასამართ სადგურზე ღირს 2 ლარი და 10 თეთრი, მაშინ 5 ჰა სახნავის მქონე გლეხკაცს დაჭირდება 100 ლიტრი საწვავი, რომელშიც მან უნდა გადაიხადოს 210 ლარი. ერთ ლიტრზე 45 თეთრის სუბსიდირების შემთხვევაში გლეხი მიიღებს 45 ლარს. აქედან გამომდინარე რეალურად გლეხს (ფერმერს) 100 ლიტრი საწვავის შექენა დაუჯდება არა 210, არამედ 165 ლარი (210-45=165), ანუ 21.4%-ით ნაკლები, რაც სერიოზული შედეგია. შემდეგ ეტაპზე სუბსიდირებული საწვავით ისარგებლებენ სახელმწიფო

პროგრამებში მონაწილე სოფლის მეურნის სტატუსის მქონე პირები და მათ მიერ შექმნილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი გაერთიანებები (კოოპერატივები და ა.შ.).

P.S. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიცირების მკაცრი შეზღუდულობის (რაც გამოწვეულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის ხასარებლო ორგანულ-ფიზიკურ თვისებათა, ანუ სამომხმარებლო ღირებულებათა ფაქტორები უცვლელობით) გამო სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ზრდის ტემპი ბევრად ჩამორჩება მისი აღწარმოებისათვის საჭირო საშუალებებზე (საწვავი, სასუქები და სხვა) ფასების ზრდის ტემპს (სწორედ ეს ფაქტი ქმნის სათანადო მთვრევა ციას ფაქტობრივად ყველა ქვეყანაში აგრარული წარმოების სუბსიდირებისათვის).

მიგვანინა, რომ სამომავლოდ ხეშოღნიშნული გაანგარიშება უნდა გაკეთდეს არამარტო საწვავის, არამედ აღწარმოების ყველა სხვა საშუალების მიმართ. ამ მიზნით ათვლის წერტილად აღებული უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების საშუალო ინდექსი ერთი რომელიმე საშუალო მოსავლიანი წლის მიხედვით და ასეთივე წესით გაანგარიშებული იქნეს აღწარმოების საშუალებების ფასების ზრდის საშუალო ინდექსი. ორივე ინდექსი შესაბამისი კანონით დამტიკებული უნდა იქნეს მომავლისთვის როგორც ფასების პარიტეტი, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და მისი აღწარმოებისათვის საჭირო საშუალებებზე (პარიტეტი გეივებებს თუ რა რაოდენობის სამრეწველო საქონელი ან მომსახურება შეიძლება მიიღოს სოფლად საქონელმწარმოებელმა მის მიერ წარმოებული პროდუქციის ერთეულზე).

ამდენად, ყველა მომდევნო სამეურნეო წლისთვის გაანგარიშებული ფასების ინდექსებიდან გამომდინარე, სახეზე გვექნება პარიტეტს გადაცილებული საერთო თანხა, რომელიც აღწარმოების საშუალებათა მწარმოებლების სუბსიდირებისათვის ბიუჯეტიდან უნდა იქნეს გამოყოფილი. (თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ზრდის ინდექსმა შეადგინა 5%, ხოლო აღწარმოების საშუალებებზე 10% ამ შემთხვევაში ბიუჯეტმა უნდა გაიღოს ხარჯების 5%).

ფასების პარიტეტის შემოღების პირველ წლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაჩქარებული ტემპებით განვითარების მიზნით, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება აგრარულ პროდუქციაზე დაწესებული ფასების პარიტეტის შენარჩუნება და აღწარმოების საშუალებებზე ფასების მთელი ნაშტის ბიუჯეტზე გადაკისრება (ანუ 10-ეე %-სა).

ფასების პარიტეტი დაწესებული უნდა იქნეს ისეთ სტრატეგიულ პროდუქციაზე, როგორცაა სასაქონლო მარცვლეული, ხორცი, რძე, ხილი, ციტრუსი და კიდევ რამდენიმე, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უშიშროებას და კვებისა და გადაამუშავებელ მრეწველობას ნედლეულით.

დასასრულ, „სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე ფასთა პარიტეტის დადგენისა და დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონის მიღება ხელს შეუწყობს აგროპროდუქციის წარმოების გადიდებას და სათავეს დაუდებს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის გაღრმავებას.

Cheap fuel for farmers

Paata Koguashvili,
Tamaz Kunchulia,

Members of Agricultural Sciences Academy

In Georgian Agriculture the area of crops and plants, cattle, all kind of agriculture products and food security indicators are sharply reduced. Uncultivated area is more than 55-60% of arable land. This is caused by price increase of material resources necessary for reproduction, such as fertilizers, chemicals, agricultural - agricultural machinery and fuel.

Many countries return total (Sweden) or partial (U.S., Germany and others) price of fuel purchase to the farmers who are involved in government programs. Subsidies by indirect taxes such as excise-duty and value added tax for purchased diesel fuel is most acceptable for Georgia. So, transparent mechanism should be worked out and relevant law should be receipt by the Parliament.



ელშარლ კავთიანი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ახალი მკვლევარი THE NEW ECONOMIST

არსებობს განაწილების ორი ძირითადი, სამართლებრივად აღიარებული სისტემა – თავისუფალი, ანუ გარიგებითი და დირექტიული. უპირატესად, პირველს ემყარება კაპიტალისტური, ხოლო მეორეს სოციალისტური სისტემები, მაგრამ ფაქტობრივად ისინი იყენებენ ორივეს. რაც შეეხება კანონგარეშე განაწილების ფორმებს (გამოძალავე, ძარცვა, ქურდობა და სხვ.), ისინი ტიპურია ყველა საზოგადოებრივი სისტემისათვის.

განაწილების თავისუფალი, კაპიტალისტური ფორმა, ძალადაუტანებლად განიცდის ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლას. განაწილების ეს სისტემა, რომელიც წარმოქმნილია ბუნებრივ-ეკონომიკური გზით, ტრადიციული განაწილებითი სისტემის საფუძველზე წარმოიშვა. მაშასადამე, მისი ისტორიული განვითარების შედეგია.

განაწილების დირექტიული წესი, რომელიც თავისი არსით ძალადურია, განვითარების ბუნებრივი პროცესის ძალდატანებითი შეცვლის გზითაა აღმოცენებული. მას თითქოს მიზნად აქვს დახასული მოკლე დროში შეცვალოს განაწილების მანამდე არსებული უსამართლობა, შემოიღოს ახალი, უფრო მეტად პრივრესული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას და ობიექტურობას.

არსებობს განაწილების ორი ძირითადი, სამართლებრივად აღიარებული სისტემა – თავისუფალი, ანუ გარიგებითი და დირექტიული. უპირატესად, პირველს ემყარება კაპიტალისტური, ხოლო მეორეს სოციალისტური სისტემები, მაგრამ ფაქტობრივად ისინი იყენებენ ორივეს. რაც შეეხება კანონგარეშე განაწილების ფორმებს (გამოძალავე, ძარცვა, ქურდობა და სხვ.), ისინი ტიპურია ყველა საზოგადოებრივი სისტემისათვის.

განაწილების თავისუფალი, კაპიტალისტური ფორმა, ძალადაუტანებლად განიცდის ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლას. განაწილების ეს სისტემა, რომელიც წარმოქმნილია ბუნებრივ-ეკონომიკური გზით, ტრადიციული განაწილებითი სისტემის საფუძველზე წარმოიშვა. მაშასადამე, მისი ისტორიული განვითარების შედეგია.

განაწილების თავისუფალი, გარიგებითი სისტემა წარმოებაში მონაწილე სუბიექტების შთანხმებას, წარმოების ფაქტორების ფლობასა და ამ ფაქტორთა საზოგადოებრივად ჩამოყალიბებულ შეფასებას ეყრდნობა, რომელიც გარეგნულად თითქოს სრულიად ობიექტურია.

მშრომელი ადამიანი საზოგადოების დოვლათიდან იღებს შემოსავალს თავისი შრომის საფასურად, მეწარმე იღებს შემოსავალს, როგორც მშრომელი წარმოების ორგანიზატორი, რომელიც რისკს ვწევა.

უკანონო გზებით, უხეში ძალადობრივი ფაქტორებით, ადამიანები შეიძლება იღებდნენ ან კარგადნენ შემოსავლებს, მაგრამ ეს ხდება განაწილების ნორმალური სისტემის მიღმა.

ინდივიდთა შემოსავლების დონე დამოკიდებულია განაწილების ფაქტორთა სიდიდეზე და საზოგადოებრივი ფონდების განაწილების მექანიზმზე.

„აქ გარეგნულად – აღნიშნავს პროფ. გამალაშვილი – თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ფაქტობრივად განაწილების ამგვარი თავისუფალი (კაპიტალისტური) სისტემა ვერ უზრუნველყოფს განაწილების საკმარის ობიექტურობას, სამართლიანობას. ამ პრინციპებიდან გადახვევის შედეგად მიზნისა არაშრომითი საკუთრების არსებობა“ [1, გვ.337]. ავტორს მიაჩნია, რომ შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის

მითვისება ხდება სწორედ ამ ფაქტორის საფუძველზე, მაშასადამე, საერთო-საკაცობრიო კრიტერიუმის მიხედვით არაობიექტურად, უსამართლოდ.

გარდა ამისა, ავტორი მიუთითებს განაწილების უსამართლობასთან დაკავშირებული ბერკეტების ხარვეზებზე, მათ არაობიექტურობაზე. პირველ რიგში, ეს შეეხება ფასებს, აგრეთვე საგადასახადო სისტემას და ქაოსის ფაქტორს, რის შედეგადაც შემოსავლები უსამართლოდ განაწილდება არა მარტო მშრომელთა და კაპიტალისტთა, არამედ თვით მეწარმე კაპიტალისტთა შორის და მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. მას ერთი მხარისათვის დიდი დანაკარგები, მეორისათვის დიდი ოდენობის მოგება მოაქვს, უსამართლობას აღრმავეებს ნეგატიური განაწილებითი – ფარული (შენიღბული) თუ უხეში ძალადობრივი ფაქტორები, რომელთა წილი დოვლათის განაწილებისას საკმაოდ დიდია, რაც შემთხვევაში მიუღი დოვლათის შესამეფასოც კი აღწევს [2, გვ.339].

არსებული პირობები აძილებს მშრომელებს მიიღონ ეს სისტემა, რომელიც ბატონობს მათზე და უკარგავს მათ მილიან დოვლათში თავის ხელების გარკვეულ ნაწილს. საბოლოო ანგარიშით, საქმე გვაქვს ფაქტობრივად ფარულ, ძალადობრივ სისტემასთან. შრომითი გარიგების თავისუფლება ამ შემთხვევაში არ ნიშნავს დოვლათის განაწილების სამართლიანობასა და ობიექტურობას.

განაწილების დირექტიული წესი, რომელიც თავისი არსით ძალადურია, განვითარების ბუნებრივი პროცესის ძალდატანებითი შეცვლის გზითაა აღმოცენებული. მას თითქოს მიზნად აქვს დასახული მოკლე დროში შეცვალოს განაწილების მანამდე არსებული უსამართლობა, შემოიღოს ახალი, უფრო მეტად პროგრესული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობასა და ობიექტურობას.

განაწილების ეს სისტემა ძალადურია იმითაც, რომ გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების ნებისა და მიზნების განსორციელებას დიქტატის გზით, რომლებიც აუცილებელია აღსრულებისათვის, ხოლო განაწილების სუბიექტების უფლებები შეზღუდულია, მათი ინტერესები და სურვილები შეცვლილია ცენტრალური ორგანოების ინტერესებით. თავისუფალი არჩევანი მინიმუმამდეა შეკვეცილი. განაწილების ძირითად, კანონიერად არსებულ ფაქტორებად მოცემული საზოგადოებრივი

პირობებისათვის რჩება შრომა და სახელმწიფო ძალაუფლება.


დირექტიული, ფაქტობრივად – სოციალისტური განაწილების დროს მეშაქის წილი ფორმალურად დამოკიდებულია დოვლათის შექმნაში დახარჯულ შრომის რაოდენობასა და ხარისხზე. ფაქტობრივად კი მისი სიდიდის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფოს პოლიტიკა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა ნება, რაც არ ემთხვევა განაწილების სუბიექტთა ინტერესებს, უგულვებელყოფს მეშაქთა ნამდვილი წილის განსახადრის აუცილებლობას შექმნილ დოვლათში. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ასეთი სისტემა ვერ ახორციელებს სათანადო ეკონომიკურ სტიმულირებას, იწვევს სუბიექტივიზმს განაწილების სფეროში, საზოგადოების დოვლათის გამოყენებისას.

განაწილების სოციალისტურმა წესმა ვერ უზრუნველყო სოციალური სამართლიანობა, რადგანაც განაწილების სისტემა დამოკიდებული გახდა ცენტრალურ ბიუროკრატიულ ორგანოთა გადაწყვეტილებაზე, განაწილების სფეროში სრულიად უუფლებოდ დატოვა განაწილების სუბიექტები – მშრომელები, რის შედეგადაც სუბიექტების მონაწილეობა განაწილებაში მნიშვნელოვნად შემცირდა და მოწყდა მის როლს დოვლათის შექმნაში. შესუსტდა წარმოების ძირითადი ფაქტორის, ასევე სხვა რესურსების განაწილებითი ფაქტორის ფუნქცია. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ამ სისტემის პირობებში მშრომელი ადამიანი ვერ იღებდა მის კუთვნილ დოვლათს, რომლის ნაწილიც გადადის სახელმწიფო ბიუროკრატის განკარგულებაში. ამაშია განაწილების სოციალისტური სისტემის ძალადობრივობის და უსამართლობის უმთავრესი გამოვლინება. ყოველივე ეს, ცხადია, მოქმედებდა ეკონომიკის საზიანოდ და სოციალისტური ეკონომიკის დაბალი ეფექტიანობის, მისი კრიზისისა და ნგრევის ერთ-ერთი მიზეზი იყო.

სოციალისტურ სისტემაში ფართოდ იყო გავრცელებული განაწილების ქაოსური ფაქტორები. ფარული და უხეში ძალადობის სხვადასხვა ფორმები (ჭურჭობა, დატაცება, ქრთამი, მოტყუება და ა.შ.) შემოსავლების საკმაოდ დიდ ნაწილს თავს უყრის მომხვეჭელ ადამიანთა ხელში.

საზოგადოების დოვლათის განაწილების ფაქტობრივმა სოციალისტურმა სისტემამ ვერ უზრუნველყო ობიექტური განაწილება, რისთვისაც ის თითქოს იყო შექმნილი.

სოციალისტური სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ იგი ვერ



უსრუნველყოფდა შრომის მაღალ წილს შემოსავლების განაწილებისას (თუმცა იგი თითქოს მშრომელთა ინტერესების დამცველია).

მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის შემოსავლების განაწილების ერთ-ერთი მთავარი ასპექტი მისი დიფერენციაციაა. იგი ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა, რომელსაც ობიექტური საფუძველი გააჩნია, მაგრამ არის მეორე საკითხიც: თუ რამდენად სამართლიანია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის დიდი განსხვავება (უთანაბრობა) შემოსავლების დონის მიხედვით.

ადამიანების განსხვავებული ნიჭი და შესაძლებლობანი განაპირობებს მათი შემოსავლების დიდ განსხვავებას. რამდენად სწორია, რომ ადამიანებს შორის არსებობდეს ასეთი განსხვავებები შემოსავლებში? - ეს არის მთავარი პრობლემატური საკითხი, რომელსაც თითქმის ყოველთვის უპასუხოდ ტოვებენ. განაწილების საკითხის განხილვისას იგი აუცილებლად უნდა დავაგეს. იმ საზოგადოებაში, სადაც არ არის გამართლებული, უზომო განსხვავებები მოქალაქეთა შემოსავლებში, განაწილება უფრო გათანაბრებულია, რაც ქვეყნის სტაბილურობის მანველებელია.

სოციალიზმის დროს შეინიშნებოდა ხელფასის დონის გარკვეული ნიველირება. მუშის ხელფასი სწორად სპარობდა დირექტორისას და ა.შ. ამასთან ერთად, ორივე სისტემის პირობებში გეხვედება გათანაბრების ელემენტები, როცა ერთნაირად ანაზღაურდება კარგი და ცუდი მინისტრის, პროფესორის, მუშის, მოსამსახურის შრომა და სხვ. ევოლუტაში შრომის წილის განსაზღვრის ასეთი მეთოდი იყო იმ დროს არსებული სისტემის ერთ-ერთი ნაკლი.

განაწილების პირველი და უმთავრესი - შრომის ფაქტორის მოქმედება განაწილების პრაქტიკაში ხასიათდება ორი ასპექტით: პირველი - იგი არის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის ადამიანთა კუთვნილებაში გადასვლის პირობა და მეორე - ამ ფაქტორის მოქმედება ვერ უსრუნველყოფს შრომის კუთვნილ წილს შემოსავლებში, დოვლათის შექმნის წილის შესაბამისად, რის გამოც წარმოიშობა ქაოსის ელემენტები, რაც განაწილების სისტემის ობიექტურობიდან გადახრის ერთ-ერთი მიზეზია.

განაწილების მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორის - საკუთრების როლის ფაქტორივით გამოვლენაც არაერთგვაროვანია. უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიის დიდ მონაკვეთზე საკუთრება მოქმედებს, როგორც განაწილების ფაქტორი დაწყებული, მიწით და დამთავრებული კაპიტალის საკუთრებით. მხოლოდ

სოციალიზმმა უარყო საკუთრება, როგორც განაწილების პირობა (რაც სრულიად უსაფუძვლილია).

განაწილების ფაქტორის გათვალისწინებით საკუთრება თავისი ისტორიული ნიშნით ორნაირია: ერთი - პირად შრომაზე და დამსახურებაზე დამყარებული საკუთრების და მეორე - პირადი შრომის, დამსახურების გარეშე წარმოქმნილი საკუთრების სახით. რადგან საკუთრება (წარმოების საშუალებები) დოვლათის შექმნის წყაროდ გვევლინება, მას მფლობელისათვის მოაქვს შემოსავალი. რაც მეტია წარმოების საშუალებათა საკუთრების რაოდენობა, მით მეტია შემოსავალი.

მოგებას არ ქმნიან არც მუშები და არც მეწარმეები, არამედ მის შექმნაში მონაწილეობს მთელი კაცობრიობა - საყოველთაო საზოგადოებრივი ფაქტორები, კაპიტალის მესაკუთრე მას ითვისებს არსებული საზოგადოებრივი მექანიზმის, როგორც განაწილების ფაქტორის მეშვეობით [2, გვ. 343].

საკუთრებიდან შემოსავალი შეიძლება იყოს განსხვავებული ხასიათისა და შინაარსის მიხედვით, თუ როგორი წარმოშობისაა საკუთრება - შრომითი თუ არაშრომითი გზით მოპოვებული.

წარმოების საშუალებათა მსხვილი მესაკუთრენი დიდი ქარხნებისა და საწარმოების მფლობელები სწორად ხდებოდნენ არაკანონიერი გზებით (საზოგადოებრივი თვალსაზრისით) და სამართლებრივი ნორმებითაც. ეს კაპიტალი მუდმივ თვითზრდას განიცდის. რამდენადაც ასეთი სახით შექმნილი ქონება არაობიექტური და უსამართლოა, მათი მფლობელებიც ასეთად უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც ამგვარი საკუთრების საფუძველზე წარმოქმნილი შემოსავალი განაწილების ობიექტურობისა და სამართლიანობის ჩარჩოში ვერ თავსდება.

ამგვარად, ნათელია როგორც შრომის, ისე საკუთრების მეშვეობით განაწილების სისტემების გადახრა ობიექტურობის საერთო კრიტერიუმიდან - სამართლიანობიდან. ეს არის ფარული ეკონომიკური ძალადობა, რაც გამომისატება განაწილების სისტემის თითქოს კანონიერი, სინამდვილეში კი - უსამართლო, არაობიექტური ანუ ორმაგი ხასიათით, რომელიც ნათლად აისახება რეალური პირობებით განსაზღვრული განაწილების წესის შეპირისპირებისას. ამ უკანასკნელიდან გადახრით განაწილება ნიშნავს ადამიანთა ერთი ნაწილის მიერ სხვისი კუთვნილის მითვისებას, მის სხვის ხარჯზე

გამდირებას და მეორე ნაწილის გარკვეული შემოსავლის დაკარგვას, ანუ დაზარალებას.

ფარული ძალადობის ხასიათს სწორად იღებს სახელმწიფო ძალაუფლების ფაქტორი, როცა სახელმწიფო უზომო ვადასახდებით და სხვა საშუალებებით ართმევს მეწარმეებს და მშრომლებს ზედმეტს. ეს ხდება მაშინაც, როცა სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლები, ძალაუფლების ფაქტორის მეშვეობით, ართმევენ სხვა ადამიანებს მათ კუთვნილ დოვლათს საზოგადოებრივი და ზნეობრივი ნორმების დარღვევით. ხელისუფლება ამ დროს ასრულებს მესაკუთრის ფუნქციას, ხოლო სახელმწიფო საკუთრება - სახელმწიფოს წარმომადგენელთა საკუთრების როლში გამოდის. სახელმწიფო ძალაუფლება სდება უკანონო, მაგრამ ფაქტობრივი შემოსავლის წყარო, რაც ფართოდ იყო გავრცელებული სოციალიზმის პრაქტიკაში.

რაც შეეხება ძალადობის სხვა ფარულ და უხეშ ფორმებს, ისინი ნებისმიერი საზოგადოების განაწილებით სისტემაში ქაოსისა და უწყვეტობის ელემენტებს ქმნის. ამ გზით დოვლათის საკმაოდ დიდი ნაწილი მითვისდება არაფორმალური (ჩრდილოვანი) ეკონომიკის ფარგლებში.

დოვლათის მითვისების ყველა ძალადობრივი ფორმა - უხეშო თუ ფარული, არაობიექტური და უსამართლო ძალადობრივი ხასიათის გამო. ეს განპირობებს შემოსავლების დაკარგვას იმათ მიერ, ვისაც ის ეკუთვნის და გადაეცემა იმათ, ვინც მას არ იმსახურებს.

შემოსავლების განაწილების არაობიექტური, უსამართლო ფორმების არსებობა იწყებს მოსახლეობის არათანაბარ დიფერენციაციას, დიდ განსხვავებას საზოგადოების ცალკეულ ფენებსა და ჯგუფებს შორის.

სიმდიდრის უთანასწორო განაწილების განსაკუთრებულ ფაქტს წარმოადგენს ზემდინდარ ადამიანთა ჯგუფების წარმოქმნა, რომელთა ქონებაც რამდენიმე ათეულ მილიარდ დოლარს აღწარბებს. მაგალითად: ბრუნესის სულთანი, არაბეთის მეფე, პრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II, კუვეიტი, დუბაისა და აბუ-დჰაბის ემირები. ეს ის ადამიანები არიან, რომელთა ქონებაც 10-დან 25 მლრდ დოლარამდე მერყეობს და თანამედროვე კაცობრიობის საშუალო დისპარომონიას წარმოადგენს, რადგანაც მსოფლიოში ყოველწლიურად შიმშილთა ათობით მილიონი ადამიანი იღუპება, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აკლია საკვები, სამედიცინო მომსახურება და ა.შ. ეს ფაქტები არის ნათელი დადასტურება იმისა, თუ როგორ

ქმნის დოვლათის განაწილების ფაქტობრივი სისტემა მოსახლეობის ქონებრივი უთანასწორობის აშკარა რეალობას.

აღსანიშნავია, რომ სიმდიდრის ასეთი განაწილება არ წარმოადგენს ცალკეული ადამიანების მისწრაფებას, თუმცა სიმდიდრისადმი ინტერესი ბევრს აქვს და ეს დიდ როლს ასრულებს ქონებრივი უთანასწორობის წარმოქმნაში.

შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილებაში ფარული და უხეშო ძალადობის მოქმედება რეალური საზოგადოებრივი პირობების და მათზე დაფუძნებული მექანიზმის შედეგია, რაც დასაბამიდან არსებობდა და დღესაც განაგრძობს არსებობას და იგი წარმოშობს არაობიექტურობის აურაცხელ ფაქტებს.

ცალკეულ ადამიანთა დიდი შემოსავლები და ქონება (ანუ უსამართლო განაწილება) წარმოიშვა ისტორიული განვითარების გზაზე და იგი შედეგია საზოგადოების ნაკლები განვითარება-სრულყოფისა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების გაუკეთებლად და წარმოქმნის იგივე პროცესებს განაწილებაშიც. ცალკეულ პიროვნებებს სწორედ რეალურად ჩამოყალიბებული განაწილების საზოგადოებრივი მექანიზმი აძლევს საშუალებას დიდი წილი აიღონ საზოგადოების დოვლათიდან, დააგროვონ დიდძალი ქონება და ა.შ. ადამიანთა მომხატველობით უნარზე, მათ თავგამოდებულ მიდრეკილებაზე ქონების მითვისება-დაკარგვებისაკენ ბევრი რამაა დამოკიდებული.

განაწილების ფაქტობრივი სისტემები, რომლებიც გარეგნულად მისაღები ჩანს, თავისი ნამდვილი არსით ანტიადამიანური, ანტისაზოგადოებრივი იყო და ასეთად დარჩა, რომელიც უპირისპირდება ნამდვილ ადამიანურ პრინციპებს, თუმცა კი ურყევი რეალობაა.

ამ რეალობის არსებობაში დიდი ადამიანთა მატერიალური დოვლათისადმი ინტერესების წვლილი, რაც სულიერი განვითარების ნაკლი უფროა, ვიდრე აუცილებლობა. მატერიალური ნივთები უფრო მეტად მიიწნევა ბედნიერების წყაროდ, ვიდრე ბუნებრივი ნიჭი, ცოდნა, კულტურა, ზნეობა და სხვ. ქონებრივი ინტერესების გამოვლინებას ადამიანები ისეთ სულიერ სიტუცემდე მიჰყავთ, რომ მათ ავიწყდებათ არა მარტო სიმართლე, სამართალი, ზნეობა, არამედ ადამიანური გრძნობებიც უახლოესი პიროვნებებისადმი.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ დოვლათი, სიმდიდრე უსახლოო მოთხოვნილებების საგანდაა ცქეული.

ასეთია საერთო-საკაცობრიო თვალთახედვით დოვლათის უსამართლო, არაობიექტური განაწილების დედარსი და იგი ეხება როგორც კაპიტალიზმამდე, ასევე კაპიტალისტური და სოციალისტური განაწილების სისტემებს. განაწილება, რომელიც ფარულ და აშკარა ძალადობრივ ნიადაგზე დაფუძნებული უქმნის

ინდივიდს შემოსავალს, უნდა განვიხილოთ როგორც კაცობრიობის უდიდესი წინააღმდეგობა, რომელიც ააშკარავებს ადამიანისა და მისი ცხოვრების არასრულყოფილებას. ეს არასასურველი, მაგრამ რეალური მოვლენაა და ამდენად ამაში უჩვეულო და გასაკვირი არაფერია.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. გ.მალაშხია, მეტაეკონომიკა – ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995.
2. Рональд Дж. Эренберг, Роберт С. Смит. Современная экономика труда. Теория и государственная политика. Издательство Московского университета. 1995.
3. Лори Дж. Грифит, Анна С. Оржера. Проблемы мотивации персонала в общем менеджменте. См. книгу: «Оплата по результату. Из опыта оплаты труда персонала в США». Второе издание. Под общей редакцией Питера Т. Чингоса. Издательство «Диалектика». Москва _ Санкт-Петербург _ Киев. 2004,

Distribution systems and there comparable characterics

Eduard Kavtidge
 Doctor of economics
 Georgian Technical University

There are two basic, legally recognized systems of distribution: free (arrangement) and directive.

Capitalist systems are based on the first one and Socialist systems are based on the second one. But in fact they use both systems. As for outlaw distribution forms (extortion, robbery,theft and other) are typical for all public systems.

Free distribution as Capitalist system changes from one to another form unconstrained. This system which is formed with natural – evolutionary way is originated from the traditional distribution system. Therefore it is result of its historical development.

Allocation rule of directive is formed with force. It's aim is that change injustice of the old distribution system and get more progressive system, which will provide with social justice and objectivity in a little time.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



რამაზ ბერდიანი

ოსე ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის დოქტორანტი,
ა/ო „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტა
ცენტრი“-ს პრეზიდენტი

„კერძო საკუთრების გარეშე
თავისუფლება არ არსებობს“
აპაი ბაძრაძე

კერძო საკუთრება მსოფლიო ეკონომიკის ყველა ეპოქის და აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს, კერძო საკუთრება არის საფუძველი, რაზეც უნდა და შენდეს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა.

ეკონომიკური ისტორიის განვითარების მანძილზე მსოფლიო ეკონომიკამ საკუთრების მრავალი ფორმა გამოსცადა. თუმცა, თავისუფლებას და ეკონომიკურ თავისუფლებას ყველაზე მეტად კერძო საკუთრება ამყარებს მისი მრავალფეროვნებით.

ეკონომიკური თავისუფლების და კერძო საკუთრების საკითხი, განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალურია პოსტსოციალისტური სივრცისთვის სადაც გამოწვევები არც საქართველოა, რამეთუ აქ პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების ცვლილებას თან სდევს საკუთრების ფორმაცვალეობაც სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადასვლის სახით, რაც შეიძლება ჩაითვალოს ერთერთ მთავარ ცენტრალურ მოვლენად პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ამრიგად, კერძო საკუთრების დაცვასთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანია კერძო საკუთრების ფორმირების დონე ქვეყანაში, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური თავისუფლების კვლევის შესაბამისი მაჩვენებლების (ინდექსების) გაანგარიშებისას ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტად კერძო საკუთრებაა მიჩნეული.

ვასკნით, რომ აქტიურად კერძო საკუთრების საერთო მდგომარეობა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური თავისუფლების განმსაზღვრელ მაჩვენებლებზე, რაც საბოლოოდ აისახება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ცვლილებაში და კერძო საკუთრების თავისუფალი ფლობა-განკარგვის გარეშე გუბავს ერთობა, როდესაც იზრდება თავისუფალი არჩევანი და თავისუფალი ბაზარი, ხოლო მათ გარეშე ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი დაბალია. ამრიგად, კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება მკიდრო ურთიერთკავშირში არიან და ერთმანეთს განაპირობებენ.


ადამიანის თავისუფლება და კერძო საკუთრება ოდითგანვე ფილოსოფიურ ურთიერთკავშირშია, ხოლო თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში კერძო საკუთრება ეკონომიკური თავისუფლების მახასიათებელი და მთავარი პირობაა.

კერძო საკუთრება არის საფუძველი, რაზეც უნდა დაშენდეს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. კერძო საკუთრების გარეშე საბაზრო ეკონომიკის შენება ან მასზე საუბარი უბრალოდ ფიქცია და ემსგავსება ფრინველს ფრთების გარეშე.

გამოწვევით ინგლისელი მოაზროვნის ჯონ ლოკის აზრით: „დედამიწა ადამიანისა და მასზე დაბლა მდგომი ყველა ქმნილებისთვის საერთოა,

თუმცა არსებითია ის გარემოება, რომ ადამიანი საკუთარ თავს განაგებს, ანუ საკუთარი თავი მას ეკუთვნის და არც ერთ სხვა ადამიანს მასზე უფლება არ გააჩნია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სხეულის ძალით და მისი ხელით შექმნილი ნივთები მის დამსახურებულ საკუთრებას წარმოადგენს. შესაბამისად, ყველაფერი, რასაც ადამიანი ბუნებიდან იღებს ან რასაც მასში იღებს, რაშიც თავის შრომას აქსოვს და ან ამატებს იმას, რაც უკვე მისია და ამ გზით თავის საკუთრებად გარდაქმნის, მისი კანონიერი კუთვნილებაა.“ [7.]

ეკონომიკური ისტორიის განვითარების მანძილზე მსოფლიო ეკონომიკამ საკუთრების მრავალი ფორმა გამოსცადა (სახელმწიფო, საერთო



კოლმეტიკური, კერძო). თუმცა, თავისუფლებას და ეკონომიკურ თავისუფლებას ყველაზე მეტად კერძო საკუთრება ამყარებს მისი მრავალფეროვნებით.

ამრიგად, კერძო საკუთრება მსოფლიო ეკონომიკის ყველა ეპოქის და აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს, ჯერ კიდევ მიმდინარეობს ახრთა ჭიდილი სხვადასხვა საკუთრების ფორმების ეკონომიკურ ეფექტიანობასა და მიზანშეწონილობაზე, ვთ შორის თვით კერძო საკუთრების ფორმების ეფექტიანობაზეც.

ჰომკს პ. პ. ახრით - კერძო საკუთრების იდეა შეესაბამება ჩვენს მორალურ ინტუიციას და ის სასოგადოებრივი წყობისა და წინააღმდეგობების მოგვარების ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენს. ხოლო კერძო საკუთრების ინსტიტუტი ეკონომიკური აღმავლობისა და „საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ საფუძველია. თუკი ადამიანები კერძო საკუთრების ინსტიტუტით განსაზღვრულ წესებს იცავენ, სასოგადოებრივი კეთილდღეობა იზრდება. [11.]

ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების საკითხი, განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალურია პოსტსოციალისტური სივრცისთვის, რამე თუ აქ პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების ცვლილებას თან სდევს საკუთრების ფორმა-ცვლელბაც სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლის სახით, რაც ყოველთვის ნაითვალის ერთ-ერთ მთავარ ცენტრალურ მოვლენად პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ამ ქვეყანათა რიგში გამოინაკლისი არც საქართველოა და აქაც მიმდინარეობს როგორც ეკონომიკური თავისუფლების, ასევე, სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებად ფორმირების პროცესი და შესაბამისად საკითხი მეტად აქტუალურია.

საქართველოში საერთო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია, ამ მხრივ ძალზე თვალსაჩინოა მიწის რესურსი და განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო მიწები. მათი კერძო საკუთრებად ფორმირების და თავისუფალ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის კვლევის მაგალითზე შეგვიძლია ზოგადი ეკონომიკური კანონზომიერებები გამოვიკვლიოთ და ვაჩვენოთ მისი გავლენა თავისუფალი ბაზრის და თავისუფალი მეწარმეთა თავისუფალი ფუნქციონირებაზე, აგრეთვე ეკონომიკური თავისუფლების ხარისხზე.

საზოგადოებას აქვს მოთხოვნილება საკუთრების დამკვიდრების, მისი მშვიდობიანი და თავისუფალი ფლობის, გამოყენების, განკარგვის.

აქედან ჩანს თავისუფლებისა და საკუთრების აქტუალურობა როგორც საქართველოში მთელი მსოფლიოს მაშგაბით.

კერძო საკუთრებასა და ეკონომიკურ თავისუფლებაზე უამრავი ნაშრომი თუ სამეცნიერო ანალიტიკური კვლევა გამოქვეყნებული, რომლებიც ძირითადად საერთაშორისო თეორიულ დონეზე ხსნიან საკითხს ან რომელიღაც სხვა ქვეყნის კონკრეტული პრობლემის მაგალითზე გვაძლევენ პრაქტიკულ თუ თეორიულ დასკვნებს. ბოლო პერიოდში ძირითადად მაინც საკუთრების უფლებებზეა ყურადღება კონცენტრირებული, ის არამარტო მკვლევართა, არამედ პოლიტიკოსთა და საზოგადოებრივ სექტორის ერთ-ერთ მთავარ აქტიურობის სფეროს წარმოადგენს, როგორც ცალკეულის ქვეყნის ასევე საერთაშორისო დონეზე. სწორედ არსებულ ნაშრომებზე დაყრდნობით შევეცდებით კვლევით დასახული ამოცანების ახნას და მიზნების მიღწევათ.

კერძო საკუთრებისა და ეკონომიკური თავისუფლების მექანიზმებთან ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია მეოცე საუკუნის უდიდესი ინგლისელი მოაზროვნე და ეკონომისტი ფრიდრიხ ა. ფონ ჰაეკი, რომელსაც თავის ნაშრომებში ძირითადად განხილული აქვს კერძო საკუთრების და თავისუფლების გუნეხის და მისი მთოვლოდმოგოური საფუძველები. ჰაეკეური თავის მიდგომებთან ერთად ყველა დროის დიდ მოაზროვნეთა შეხედულებებსაც გვიხიარებს.

ა. ჰაეკი საკუთრებას ანტიკური ფუნქციებიდან გვაცნობს და მოყავს მოსაზრება მასზედ, რომ „ბერძნულ-რომანული სამყარო უპირატესად რა უპირებებიც ყოფილა კერძო საკუთრების სამყარო იყო - იქნებოდა ეს საკუთრება მიწის რამდენიმე აკრისა, თუ სენატორების და იმპერატორების უზარმაზარი სამფლობელოებისა; ეს იყო კერძო ვაჭრობისა და ხელოვნობის სამყარო“ [12. 44] რომელმაც საფუძველი დაუდო თავისუფალ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობას და მაშინდელი სამყაროს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ წესრიგს.

ა. ჰაეკის აზრით კერძო საკუთრება, რომელსაც ის „ინდივიდუალიზებულ საკუთრებად“ ახსენებს, ნებისმიერი გზებითარებულ ცივილიზაციის ზნეობრივი ნორმების ბირთვია. [12. 44] ნორმებისა, რომელბიც უზრუნველყოფს ერთის მხრივ თავისუფლების არეალს და, მეორეს მხრივ, მის საზღვრებს. მეცნიერის გააზრებით „ცივილიზაცია შვიდდება ვრცელდებოდეს, მაგრამ არ შვიდდება მნიშვნელოვნად წაიწიოს წინ ისეთი

ახალი ეპოქისთვის THE NEW ECONOMIST

ხელისუფლების პირობებში, რომელიც მოქალაქეებს ყოველდღიური საქმეებით ხელმძღვანელობის უფლებას ჩამოართმევს და მას თავაზე აიღებს. ჯერ არცერთ განვითარებულ ცივილიზაციას არ მიუღწევია წარმატებისთვის ისეთი ხელისუფლებით, რომლის უმთავრეს მისიანს ეკრძო საკუთრებაზე ზრუნვა არ შეადგენდა“ [12. 48]

სწორედ ეკრძო საკუთრება იწვევს საერთო კეთილდღეობის ამადლებას, უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და საერთო საზოგადოებრივი სიკეთის მატებას.

ხემაღლიშნულს შემდგენაირად გვიხსნის პ. პ. პოპე – საკუთრების დამკვიდრების თითოეული შემთხვევა მეპატრონის კეთილდღეობას ზრდის (აქტივთა ეკრძო საკუთრებად თავისუფალი ფორმირება), წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქმედება არც კი განხორციელდებოდა. იმავედროულად, ამ ქმედებით ზიანი არავის არ ადგება. ამის ახასხველად მას პარტულის პირობა მოყავს (რომლის მიხედვით, „საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ ზრდაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მეცნიერულად გამართლებული, როდესაც გარკვეული ცვლადების შედეგად თუნდაც ერთი ადამიანის ყოფა უმჯობესდება, ხოლო სხვების მდგომარეობა არ უარესდება) [11]

თავდაპირველი დაპატრონების ნებისმიერი შემთხვევა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. იგი ისე ზრდის ერთი ადამიანის, ანუ მესაკუთრის კეთილდღეობას, რომ სხვების დოვლათს (საკუთრებას) არ ხელყოფს. ყველას ისეთივე რაოდენობის საკუთრება რჩება, რაც მანამდე გააჩნდა, ხოლო მიმოვისებელი ახალ, მანამდე არარსებულ ქონებას იძენს. შესაბამისად, დამკვიდრება (ქონების საკუთრებად ქცევა) ყოველთვის ზრდის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ანუ თუ წარმოება და მოხმარება არ იწვევს სხვა ადამიანთა მფლობელობაში მყოფი ქონების ფიზიკურ დაზიანებას ან შემცირებას, იგი ყოველთვის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამადლებას ემსახურება [11] მართლაც პ. პ. პოპეს ეს მოსაზრება ნათლად ასახავს ახალი ეკრძო საკუთრების დამკვიდრების მეშვეობით როგორც კეთილდღეობის ამადლებას, ასევე, საბაზრო ბუნებაში ახალი აქტივის ნაბმასაც, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კონკურენციას, ეკონომიკურ თავისუფლებას და აძლიერებს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს. საზოგადოების ამგვარი ახალი საკუთრების დამკვიდრების მოთხოვნის დაშობს სწორედ თავისუფლებას და თავისუფალი ქმედების აუცილებლობას, რაც პირდაპირ ეხმარება

თითოეული ადამიანის მისწრაფებას, გაიუმჯობესოს და აიმაღლოს კეთილდღეობა სწორედ ეს მისწრაფება ამოძრავებს თანამედროვე საზოგადოებასაც და ამოძრავებდა ანტიკური ხანის ადამიანებს თუ მათ ერთობებს, რაც, თავის მხრივ გარკვეულ წეს-ჩვეულებების და მორალურ თუ სამართლებრივ შეთანხმებებში აისახებოდა.


თავისუფლების, საკუთრების და წესრიგის არსებობის წინაპირობა ძველი ბერძენიდან დღემდე იფიქრება, შესაბამისი კანონმდებლობის სახით, სადაც უკველი წესების ერთიანობა ყველა პერსონას აძლევს საშუალებას, ნებისმიერ დროს დარწმუნდეს ვის შეუძლია კონკრეტული ნითვის ფლობა. [12. 45]

ანტიკური ხანიდან დღემდე საკუთრების ცნება იხვეწება დროსა და სივრცეში თავისი მრავალფეროვნებით, ვერც დღეს და ვერც მომავალში ვერ ჩაითვლება დასრულებულად, რადგან ის თავისუფალი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია და მასთან ერთად პროგრესირებს და მის მიმართაც ცნებებითი მიდგომაშიც გადახალისებას ექვემდებარება.

საკუთრების უფლებრივი საკითხი იმ დროისთვის მწყობრადაა ახსნილი გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნის ჯონ ლოკის 1690 წელს ნაშრომში „საორი ტრაქტატი ხელისუფლების შესახებ“, სადაც ის აღნიშნავს, რომ ქონებრივი უფლება საერთო სარგებლობის საგნის მითვისებისა (დაუფლების) და მისი ბუნებრივი მდგომარეობის შეცვლისთანავე წარმოიშობა. ამ უფლების გარეშე საერთო მფლობელობაში მყოფი საგანი უსარგებლოა. [7]

სწორედ ასეთ საერთო საკუთრებად შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელი სახელმწიფო საკუთრებაც, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში უსარგებლო თუ არა, ეკონომიკურად არაეფექტიანი და წამებელი ხდება.

პ. პ. პოპე ხსნის, რომ არისტოტელედ თავის „პოლიტიკაში“ ეკრძო საკუთრების უპირატესობებზე გვესაუბრება. უპირველეს ყოვლისა, ეკრძო საკუთრება უფრო ნაყოფიერია. „ის, რაც მრავალი ადამიანის ერთობლივ საკუთრებაშია, ყველაზე ნაკლებადაა მოვლილი. ადამიანები ყველაზე მეტ ყურადღებას იმას უთმობენ, რაც მათ ეკუთვნით და ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რაც საზოგადოა. ან თუ მაინც ზრუნავენ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს თითოეულ მათთაგანს პირადად ეხება. მაშინაც კი, როდესაც უყურადღებობის სხვა მიზეზი არ არსებობს, ადამიანები მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას თავს მაინც აარიდებენ,



თუკი ფიქრობენ, რომ მათი საქმე შეიძლება სხვათა გააკეთოს.“ [11]

ფ. პატივ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ნაყოფიერი მიწის ნაკეთების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის აუცილებლობამ განაპირობა მიწის საერთო ჯგუფური საკუთრებიდან კერძო პერსონალურ საკუთრებაზე გადასვლა, სადაც გადაშვევტ გარემოებად მიიხსენებს, რომ კერძო საკუთრების განვითარება ვაჭრობის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა და სხვა უფრო დიდი ურთიერთ თანამშრომლობაზე დაფუძნებული სტრუქტურების ჩამოყალიბებისა, მათ შორის ისეთი სიგნალების წარმოშობის, როგორცაა ფასები და საკუთრების ფლობა-გამოყენების საკითხები[12. 46-47].

ჯ. ლოკი ამბობს, „მიწა ადამიანის საკუთრება იმდენადაა, რამდენადაც იგი ხნავს, თესავს, ანაყოფიერებს, ამუშავებს და ნაყოფს იძის“[7]. ანუ ეკონომიკურ პაქტორებსა და ბრუნვაში ჩაბმული, დღევანდელ საქართველოს რეალობაში ძირითადი შესაკუთრებ სახელმწიფო მიწის ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაბმას ვერ ახერხებს, შესაბამისად, ეკონომიკურად არაუეფექტიანობასთან ერთად, საზოგადოებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით წამგებანია ასეთ აქტივზე სახელმწიფო საკუთრების უფლებაც, ის უპტივებლანს ახდენს თითოეული მოქალაქის თავისუფლებაზე რადგან საკუთრება მთავარი ფაქტორია ეკონომიკური თავისუფლების.

თავისუფლება ასახავს როგორც ცალკეული ადამიანის მდგომარეობას, ასევე ადამიანთა მთელი ჯგუფის მდგომარეობასაც [2. 13]. აქედან გამომდინარეობს სწორედ საზოგადოებრივი წესრიგის აუცილებლობა, სადაც ადამიანთა ინტერესები უნდა იყოს შეთანაწყობილი, მათ შორის კერძო საკუთრების დამკვიდრების, ქონების და მისი შემდგომი თავისუფალი განკარგვისა და მისი ხელყოფისაგან დაცვის გარეშე.

ფ. ბასტიას აზრით საზოგადოება, ადამიანები და საკუთრება კანონის ჩამოყალიბებამდე არსებობდა. „მე ასე ვიტყვით: საკუთრება იმიტომ კი არ არსებობს, რომ კანონი არსებობს, არამედ კანონი არსებობს იმიტომ, რომ საკუთრება არსებობს“. „საკუთრება მე მესმის, როგორც მშრომელი ადამიანის უფლება ყოველივე იმაზე, რაც მან თავისი შრომით შექმნა“. მისი აზრით საკუთრება ღვთის ნებით არის გათვალისწინებული და კანონის დანიშნულება სწორედ საკუთრების დაცვა - ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ საკუთრება ისეთივე და იმთავითვე არსებული ფაქტია, როგორც ადამიანი. ადამიანი კანონს არ შეუქმნია, ისევე როგორც არ შეუქმნია საკუთრება. საკუთრება ადამიანის

არსებობის ბუნებრივი შედეგია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი შესაკუთრედ იბადება, რადგანაც მას დაბადებისთანავე გარკვეული მითხოვნილებები გააჩნია, რომელთა დაკმაყოფილება მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. [4]

მართლაც, საკუთრების არსებობა ითხოვს წესრიგს და მისი გეგმარება სამართლიანობას, სწორედ წესრიგი და სამართლიანობა უდევს საფუძვლად ყველა კანონს ორგანიზებულ საზოგადოებაში.

დ. იუმისათვის საკუთრების მარგულირებული წესები იმდენად გადაშვევტი ჩანდა, ზნეობრივი ნორმების სისტემაში, რომ მათ „ადამიანის ბუნების შესახებ ტრაქტატის“ დიდი ნაწილი მიუღვნა. ის თვლიდა, რომ კერძო საკუთრების დამკვიდრება ცივილიზაციის დაწყებას მიანიშნებდა.[12. 51]

დ. იუმი თვლიდა, რომ ყველასათვის მაქსიმალური თავისუფლება თითოეულის თავისუფლების შესწავლის მოთხოვნაა. ამ შესწავლებებს ის სამ „ძირითად ბუნებრივ კანონს“ უწოდებს. ესენია „საკუთრების სტაბილურობის, მისი შეთანხმების საშუალებით გადაცემისა და პირობის შესრულების“ შესახებ კანონები. ის პირველი იყო ვინც გააზრა, რომ „საკუთრებით თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ თანშობილი ზნეობრივი ინსტინქტი შეკავდება და შეიზღუდება მიმდევრო დებულებით და სამართლიანობა ან სხვა პიროვნების საკუთრებისადმი პატივისცემა, ერთგულება ან პირობის შენახვა აუცილებელი გახდება და ძალაუფლებას მოიპოვებს ადამიანებს“.[12. 51-53]

ა. ფერგიუსონი ამბობს: „ცხადი უნდა იყოს, რომ საკუთრება პროგრესის პირობაა“.[12. 53]. მართლაც ყოველად წარმოუდგენელია ეკონომიკური პროგრესი საკუთრების გარეშე, მის გარეშე ეკონომიკა საფუძველდ გამოცლილი იქნებოდა, ამიტომაც თანამედროვე პირობებში კერძო საკუთრების დამკვიდრებისა და მისი დაცვის მექანიზმების სრულყოფაა საჭირო. საკუთრების უფლებების სრულყოფასთან დაკავშირებით პატივ გავწდის შემდეგ მოსაზრებას: იმისთვის, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტი უფრო სასარგებლო გახდეს, კულტურული და ეკოლოგიური ნაბიჯებია გადასადგმელი, მაგალითად, საკუთრების უფლების შეღავათის აღსაკეთაოდ, კონკურენციის საყოველთაო გაერცელება საჭირო [12. 54].

კონკურენცია და გარეთეე საკუთრების დივერსიფიცირებაც მთავარი გარანტი და საკუთრების ხელყოფისაგან დაცვის ეფექტიანი



მექანიზმებია, ხოლო საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება იძლევა საშუალებას, ამა თუ იმ ქონებას, აქტივს (მატერიალურ და არამატერიალურ) მრავალი მესაკუთრის სახით გაუზიარდეს მრავალი დამცველი, რაც თავისმხრივ კონკურენტულ გარემოს უწყობს ხელს და რასაკვირველია, ეკონომიკურ თვისუფლებასაც.

მოყვანილი განხილვებით, თეორიებითა და დასკვნებით კვლევის მიზნის და ამოცანების დაქაყოფილება გვსურდა, თეორიული, ეკონომიკური რეფორმების ისტორიული და კვლევით შედეგების ანალიზის საფუძველზე სტატიაში გვინდა ვაჩვენოთ საქართველოს რეალური სურათი საკუთრებისა და ეკონომიკური თვისუფლების მდგომარეობის, რისთვისაც საჭიროა პასუხი გვეცეს კითხვებს: დასრულდა თუ არა კერძო საკუთრების ფორმირება? აღნიშნულის საფუძველზე შექმნოთ თუ არა ამოქმედება კერძო თვისუფალმა ბაზარმა.

ეკონომიკური თვისუფლების კვლევამ აქამდე აქსიომურად გააზრებულ კერძო საკუთრების ფორმირების პრაქტიკულ კვლევამდე მიგიყვანა. იმისათვის, რომ რეალურ ეკონომიკურ თვისუფლებაზე ვისაუბროთ, უნდა გვეჩვენდეს დომინირებადი კერძო საკუთრება, რადგან კერძო საკუთრების დომინირების პრინციპზე აგებული თვისუფალი ეკონომიკა, განსაკუთრებით კი საბაზრო ეკონომიკა, თუნდაც სოციალურად ორიენტირებული.

კვლევის საფუძველზე დავადგინეთ საქართველოში მიწის აქტივის ღირებულებას 1 კვ. მ-ზე, კერძო და სახელმწიფო საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება და სხვა ტენდენციები.

ამრიგად საქართველოს რეალობაში აქტივების სამი ბაზარი გამოვლინდა:


- 1) „სახელმწიფო ბაზარი“ (პირველად);
- 2) „იძულებითი ბაზარი“ (აღმასრულებლის მიერ ჩამორთმეული ქონების);
- 3) „კერძო ბაზარი“ (კერძო მესაკუთრე ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ანუ მეორადი ბაზარი).

ამ ბაზრების არსებობა და ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს კერძო საკუთრების ფორმირების საკითხს და მის შემდგომი თავისუფალი გამოყენება განკარგვის საკითხსაც, რასაც, თავის მხრივ, მიყვავართ ეკონომიკურ თვისუფლებამდე და მის ხარისხამდე. კვლევის პერიოდად აღებულია პირველადი ბაზრისთვის 2010 წლის 15 ნოემბრიდან 2012 წლის 15 ნოემბრამდე სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი აქტივების (მიწის) საპრივატიზაციო აუქციონები. 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 15 ნოემბრამდე კერძო და იძულებით ბაზრის აუქციონები.

კვლევით პერიოდში ელექტრონული აუქციონების მეშვეობით შევისწავლეთ და გავაანალიზეთ 1631 სახელმწიფო მიწის პრივატიზების აუქციონის შედეგი, 382 „იძულებითი ბაზრის“ აუქციონის და კერძო მესაკუთრეთა „მეორადი ბაზრის“ გარიგებები [19].


კვლევის შედეგები მოცემულია 1.1 დიაგრამაში[19]. სადაც მკვეთრად ჩანს მიწის 1 კვ.მ-ს ფასის ზღრდის ან კლების ტენდენცია.

2010-2012 წწ აუქციონებით გაყიდული სახელმწიფო მიწების ფასი თვეების მიხედვით 1 კვ.მ-ზე^[19]



დიაგრამა 1.1

სახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



ანლიშნული მეტყველებს მიწის პირველადი ბაზრის არაელასტიურობასა და კონკურენციის დაბალ მახასიათებლებზე, შესაბამისად, კერძო საკუთრების ფორმირება მიმდინარეობს არაკონკურენტულ გარემოში.

„პირველად ბაზარზე“, მიუხედავად მიწის ცვალებადი მაღალი მიწოდებისა, ფასი მის მიმართ სუსტად რეაგირებს, რაც საბაზრო კანონზომიერებებს არ პასუხობს (თავისუფალი გაცვლა და ფასწარმოქმნა).

კვლევის დროს, დროითი პერიოდების დაკვირვების შედეგად გამოვლინდა წვევტა საპრივატიზაციო პერიოდში „პირველად ბაზარზე“. 2012 წლის 26 მარტიდან 31 მაისამდე არ განხორციელებულა მიწის საპრივატიზაციო აუქციონები, რაც ფაქტურად ნიშნავს, რომ 65 დღის განმავლობაში შეჩერდა „პირველადი ბაზარი“ (იხ. დიაგრამა 1.1), სწორედ ეს პერიოდი მნიშვნელოვანი


და საინტერესო კვლევითი დაკვირვების მანძილზე „იძულებითი“ და „მეორადი ბაზარების“ ფუნქციონირებისას, ეს მცირე პერიოდი დადებითად აისახა ამ უკანასკნელი ორი ბაზრის გააქტიურებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით.

„იძულებითი ბაზრის“ მონაცემები მოყვანილია 12 დიაგრამაში, დიაგრამიდან ჩანს, რომ „პირველადი ბაზრის“ შეჩერების კვალობაზე მიმდინარეობს 1 კვ. მ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასის მნიშვნელოვნად მატება და კონკურენციის ზრდა, აუქციონში მონაწილეთა აქტიურობის (ბიჯების) ხახით.

იძულებითი ბაზრის მაგალითზე 1 კვ. მ-ზე ფასმა მოიმატა 0,52 ლარამდე, ხოლო პრივატიზების (პირველადი ბაზრის) განახლების შემდგომ ისევ დაიწია, რაც ჩანს დიაგრამა 1.2-ში [19]. და მისი შედარებისას დიაგრამა 1.1-თან.

2010-2012 წწ იძულებითი აუქციონებით გაყიდული მიწების ფასი თვეების მიხედვით 1 კვ.მ-ზე [19]

■ 1 კვ.მ. ფასი



დიაგრამა 1.2

ანალოგიური ვითარება იყო მოცემული პერიოდისთვის „მეორადი ბაზარზეც“, სადაც მიწის ფასმა მყისიერად აიწია და იძულებითი ბაზრისგან განსხვავებით მას მიწოდების რეაგირებაც მოყვა ვინაიდან სწორედ მეორადი ბაზარია ნამდვილ კონკურენტულ შესაძლებლობებზე დამყარებული ბაზარი, რომელიც საბაზრო პრინციპებით და მექანიზმებით მოქმედებს.

ამრიგად, ბოლო ორი წლის მანძილზე საბაზრო მექანიზმებით კერძო საკუთრებაში გადავიდა მხოლოდ 19 346 ჰექტარი სასოფლო სამეურნეო მიწა, ხოლო პრივატიზებით მიღებული თანხა შეადგენს 21.49 მილიონ ლარს. იმ ფონზე

როდესაც სრულ პრივატიზებას დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი (სახნაი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბი) 1209 ათასი ჰექტარია აქედან დაახლოებით 45% ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს (საძოვარი 1 796 ათასი ჰექტარი მეტწილად განსაკრძოებული) [მ. 11]. მიწასთან შედარებით, უფრო უარესი მდგომარეობაა მთლიანად ეკონომიკური აქტივების კუთხით, სადაც ჯერ კიდევ უზარმაზარი რესურსი აქტივებისა სახელმწიფო საკუთრებაშია, რომელიც აუცილებლად კერძო საკუთრებად უნდა ფორმირდეს. გამოდის, რომ პრივატიზების ასეთი ტემპით მხოლოდ მიწაზე

მინიმუმ 20 წელი კიდევ ვერ განსორციელებდა საკუთრების სრული ფორმირება. ხოლო კერძო საკუთრების სრულად არ ქონა ნიშნავს იმას, რომ არასრულად გამოიყენება ეკონომიკური სიმძლავრეები, აქტივები არ არიან ჩამოყალიბებული თავისუფალ ეკონომიკურ ბრუნვაში; შესაბამისად არასრულფასოვანია ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური ზრდის პოტენციალიც არასრულადაა გამოყენებული.

ამრიგად, კერძო საკუთრების დაცვასთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანია კერძო საკუთრების ფორმირების დონე ქვეყანაში, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური თავისუფლების კვლევის შესაბამისი მაჩვენებლების (ინდექსების) განაგარიშებისას კერძო საკუთრება ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტადაა მიჩნეული. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები ძირითადად რეალურ და სანდო ინფორმაციას იძლევიან იმ ეკონომიკურად მდლანგანივითარებულ ქვეყნებში, სადაც კერძო საკუთრების ფორმირება დასრულებულია და შესაბამისად, კერძო საკუთრებაც მდლან დონეზეა დაცული. ხოლო ქვეყნებში (რეგიონებში), სადაც კერძო საკუთრების ფორმირება ჯერ კიდევ არაა დასრულებული და კერძო საკუთრებაც ნაკლებადაა განვითარებული, ფერხდება აქტივების თავისუფალ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაბმა, რაც ზეგავლენას ახდენს სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კვლევისას

კომპონენტების შესახებ ინფორმაციის არასრულყოფილებიდან გამომდინარე, ნაკლებად სწორ წარმოდგენებს ქმნიან ეკონომიკური თავისუფლების დონის შესახებ და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების არასრულყოფილებაში აისახება.


მეტწილად პოსტ-სოციალისტურ სივრცეში და მათ შორის საქართველოშიც სახელმწიფო საკუთრებასა და კერძო საკუთრებას შორის პროპორციული დამოკიდებულების ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს, შესაბამისად არ არსებობს ინფორმაცია კერძო საკუთრების ფორმირების შესახებ, რომელ ეტაპზეა და როდის დასრულებდა ფორმირების პროცესი.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა და ეკონომიკური თავისუფლება ემყარება კერძო საკუთრებას და თავისუფალ კონკურენციას, აქტივებზე კერძო საკუთრების საერთო მდგომარეობა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური თავისუფლების განმსაზღვრელ მაჩვენებლებზე, რაც საბოლოოდ აისახება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ცვლილებაში და კერძო საკუთრების თავისუფალი ფლობა განკარგვის გარეშე გვაქვს ვითარება, როდესაც იზღუდება თავისუფალი არჩევანი და თავისუფალი ბაზრი, ხოლო მათ გარეშე ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი დაბალია. ამრიგად, კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და ერთმანეთს განაპირობებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აღნიანი ა. ა., პარლდ დემსეცი - „საკუთრებითი უფლებების პარადიგმა“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III წიგნი, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, თბ., 2005.
2. ბალცეროვიჩი ლ., საკუთრების ანალიზი - (ნაწვეტი წიგნიდან „კაპიტალიზმი, სოციალიზმი, ტრანსფორმაცია“) სახელმწიფო გარდაბავალ პერიოდში, ა. გრშიკაშვილის თარგმანი, თბ., 2002.
3. ბალცეროვიჩი ლ., თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებულის III წიგნი, ლიბერალიზმი და საკუთრება, თბ., 2005.
4. ბასტია ვ.-, „საკუთრება და კანონი“ თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III. ლიბერალიზმი და საკუთრება, თბ., 2005.
5. თერო დ., „საკუთრებითი უფლებები ბუნებრივი რესურსების, განადგურების წინააღმდეგ“ თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III, „საკუთრება და თავისუფლება“, თბ., 2005.
6. კაკულუშნიკოვი რ., „საკუთრებითი უფლებების ეკონომიკური თეორია“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III, „საკუთრება და თავისუფლება“, თბ., 2005.
7. ლოკი ჯ., საკუთრების შესახებ „მეორე თხზულება სამოქალაქო ხელსუფლების შესახებ“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III, საკუთრება და თავისუფლება, თბ., 2005.

<http://nesgeorgia.org/publicationst3.php>



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ეროვნული ცენტრი THE NEW ECONOMIST

8. **ოქროცვარიძე ზ.** - დისერტაცია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პირობებში“, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, თბ., 2006.

9. **ჩხაიძე ი.**, „როგორ გავმდიდრდეთ ანუ ჩვენი გზა ეკონომიკურ კეთილდღეობისაკენ“, თბ., 1999.

10. **ჯანდიერი გ.**, „ეკრძო საკუთრება და საქართველო“ თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III წიგნი, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, თბ., 2005.

11. **პოპე პ. პ.**, „ეკრძო საკუთრების ეთიკა და ეკონომიკა“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III, ლიბერალიზმი და საკუთრება. პუნქტი IV, თბ., 2005.
<http://nesgeorgia.org/files/III-160-hoppe.pdf>

12. **პაევი ფ. ა.**, „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“, თბ., 2000.

13. **ჩხაიძე ი.**, „გვაკლია კაპიტალიზაცია“ http://www.facebook.com/note.php?note_id=223606184338603

14. **Shaffer B.**, „Boundaries of Order: Private Property as a Social System“, Mises Institute, 2009.
<http://mises.org/document/4223/Boundaries-of-Order-Private-Property-as-a-Social-System>

15. **Mises L. v.** „Liberty and Property“, Updated 2010. <http://mises.org/document/880/Liberty-and-Property>

16. **Rothbard M. N.**, „For a New Liberty: The Libertarian Manifesto“, Updated 2008.
<http://mises.org/document/1010/For-a-New-Liberty-The-Libertarian-Manifesto>

17. **Тамм С.**, „собственность“, библиотка ГВЛ серия Экономика, берлин, 2009.

18. **Гризвольд Д.**, – „Шесть причин покончить с сельскохозяйственными субсидиями и торговыми барьерами“, Стратегия эффективных реформ. <http://www.inliberty.ru/library/study/315/B82=KE@5D>@@3>2K<8 10 5 0<>

19. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“.
www.eauction.ge

20. www.privatization.ge

21. http://77.92.224.125/spp/spp/entities_for_sale.php?¶ms=S7QysqoutjKxUspJzEtXsi4G8pXSU0EMQ0Mrpd58ksySvyiSvYgKgUKaVsXUAA%3D%3D

22. <http://www.imf.org/external/datamapper/index.php>

23. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4898>
<http://nesgeorgia.org/page.php?id=1002>

Private Property as a Determinant of Economic Freedom

Ramaz Gerliani
doqtorant of ivane javakhishvili tbilisi state university,
faculty of economy and business
President of NGO „economic policy expert’s centre”

Private property is a major issue/element of the world economy as well as the economic policies of different countries. Private property is the basis for the creation of a free market economy.
Economic history of the development of the world economy has experienced many forms of properties. However, for the most part, only private property reinforces the freedom and economic freedom.

Both, economic freedom and private property issues are particularly interesting and relevant to the post-socialist space, including Georgia, because in the process of changes in political and economic structures followed by the transformation of state property into private one.

Therefore, the need to protect private property, the dynamic nature of its formation is essential for any country, especially for Georgia, as the international organizations for the study of the economic freedom index (indices), private property is considered to be an important part of its calculation.

In conclusion, the overall situation of private property of a country's assets affects on key indicators of economic freedom, and overall economic growth. Ignoring private property is a situation in which the free choice and the condition for a free market are restricted, and without them economic freedom is considerably lower.

In summary, private property and economic freedom are closely related to each other and are reversible.



ასამათ შამშიბია,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ახალი პერიოდში THE NEW ECONOMIST

საბაზრო ეკონომიკა, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის წინაშე ახლებურად აყენებს მიუღწეველ რთვ ამოცანებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესს საკადრო პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება წარმოადგენს. იმისათვის, რომ მოხდეს ამ მიზნის მიღწევა, სკოლას ყოველმხრივ დახმავებული საკადრო პოლიტიკა უნდა გააძლიეროს.

მაშასადამე, საკადრო პოლიტიკა არის საკადრო მუშაობის პრინციპების, მეთოდების, ფორმების, მიზნებისა და ამოცანების შემუშავების ორგანიზაციული მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია საკადრო პოტენციალის შემუშავებაზე, განმტკიცებასა და განვითარებაზე.

საკადრო პოლიტიკა ზრუნავს კვალიფიციური და მაღალმწარმოებლური შეკრული საკადრო პოლიტიკის შექმნაზე, რომელსაც ექნება უნარი დროული რეაგირება მოახდინოს პაზრის სწრაფად ცვლად მდგომარეობებზე სკოლის განვითარებისა და მისი პერსონალის მართვის სტრატეგიების გათვალისწინებით. ამრიგად, საკადრო პოლიტიკა პირველ რიგში ითვალისწინებს პერსონალის მართვის სტრატეგიის ფორმირებას, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება სკოლის საერთო განვითარების სტრატეგიას.

XX საუკუნის მეცნიერების უდიდესმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა მოითხოვა განათლების სტრუქტურისა და შინაარსის არსებითი შეცვლა. ცხადია, უპირველესი პრიორიტეტი და აქტუალობა ენიჭება სწავლების მეთოდების, ხერხებისა და ორგანიზაციული ფორმების შემუშავებას, მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს, პირველ რიგში, ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, რადგან იგი წარმოადგენს უმაღლესი განათლების ბაზისს. უადრესად მნიშვნელოვანია სკოლებში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ფორმების კვლევა, მეცნიერული ანალიზი, რაც პედაგოგებს შესასწავლო საგნის თანამედროვე მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს.

გლობალიზაციის, მსოფლიო ეკონომიკისა და კულტურათა ინტეგრაციის პროცესმა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სწრაფმა ტემპმა და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა, ცხადია, ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა განათლების სისტემა. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფად ცვლადებად ეპოქას სჭირდება უფრო მოქნილი, შემოქმედებითი, როულ

სიტუაციებში სწრაფად გარკვევის, მაღალი პიროვნული და პროფესიული უნარების მქონე ადამიანები. ისინი კი სკოლამ უნდა აღზარდოს. ასეთივე რთული და საპასუხისმგებლო გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს განათლების სფერო, რომელიც ათეული წლების მანძილზე წარმოადგენდა საბჭოთა ცენტრალიზებული მართვის ფორმაზე დაფუძნებული განათლების სისტემის ნაწილს.

ბოლო წლებში, საქართველოში განათლებისა და მეცნიერების მდგომარეობა, მისი შემდგომი განვითარების გზები და პერსპექტივა ცხარე მსჯელობასა და კამათს იწვევს. ეს გასაკვირი არ არის, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ნებისმიერი ქვეყნის განათლების სისტემას. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოიძებნოს პასუხი შეითხოვაზე: რა არის განათლება – ადამიანის პროფესიული უფლება თუ გლობალური ბაზრის პროდუქტი, რომელიც შეიძლება ყველასთვის ხელმისაწვდომი არც იყოს.

მოცემულ სტატიაში მსჯელობის საგანი ვერ იქნება სასწავლო პროგრამებისა თუ სახელმძღვანელოების აკადრაციანობა, სწავლების

